კვირა, 9 დეკემბერი 1923 წ.

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით

№ 4 ყოველკვირეული ჟურნალი № 4

რედაქცია და კანტორა
ტფილისი, პლეხანოვის პროსპექტი, სასტუმრო „ნოე“ ოთახი № 74.

ფასი
1,000,000 მანეთი
ამიერ-კავ. ბონებ.

რედაქცია და კანტორა
ღია ყოველ დღე გარდა კვირა უქმისა
დილის 8 ს. შუად. 1 ს.-ღე.

ჩვენ ეს არ გვაშინებს.

ყოფილი მენშევიკები დღეს ენერგიულ მუშაობას აწარმოებენ საბჭოთა აღმშენებლობის ფრონტზე.

თუ წინეთ ჩვენ მხოლოდ საბოტაჟს გვასწავლიდენ ჩვენი ხელმძღვანელები, რომლებიც ფიქრობდენ ამ გზით საბჭოთა წესწყობილების დანგრევას, დღეს ჩვენ მწარე გაკვეთილებით მივედით იმ დასკვნამდე, რომ მშრომელი ხალხის კეთილ-დღეობა მხოლოთ საბჭოთა ხელისუფლების განმტკიცებაშია.

ამ გზაზე ჩვენ მაგრად შევდგით ფეხი და არავის შეუძლია დღეს იქიდან ჩვენი დაძვრა.

მაგრამ ამ გზაზე დღეს ბევრი ახალი მტერიც შეგვეძინა.

ამ მტრებთა შორის უპირველესი ადგილი უჭირავს ჩვენს ყოფილ ამხანაგებს, რომლებიც მოსწყდენ ჩვენს რიგებს, რომელთაც ვერ შესძლეს სინამდვილისთვის გაესწორებიათ თვალი და ჩვენთან ერთად დამწკრივებულიყვნენ საბჭოთა პლატფორმაზე. მართალია, ძალიან მცირე რიცხოვანია ეს ჯგუფი.

მაგრამ ის, რაც მცირე რიცხოვანია, მით უფრო ანთხევს შხამს და გესლს, ავრცელებს პროვოკაციულ ხმებს ყოფილ მენშევიკების წინააღმდეგ და მეცადინეობს გაუტეხოს სახელი ამ 12 ათას მუშას.

მეორე ჯგუფი ჩვენი მტრებისა შესდგება ყოფილი შეძლებული და მეშჩანური მასსისაგან. ამ ხალხს ქონდა იმედი, რომ მუშურ-გლეხური ხელისუფლება დაინგრეოდა და დადგებოდა მათთვის სანატრელი დრო.

ეს კონსერვატიული და კონტრ-რევოლიუციონური მასსა მას შემდეგ, რაც მენშევიკური მთავრობა დაეცა, დიდი სიმპატიით ეპყრობოდა მენშევიკებს.

მენშევიკებსა და ამ მასსას შორის რაღაც სულიერი კავშირი დაიდო. რაღაც მათ ძალიან აკავშირებდა.

და ეს „რაღაც“ იყო ის, რომ ორივენი ერთად და შეთანხმებულად იბრძოდენ საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ.

რასაკვირველია ეს საერთო მიზანი მათ აკავშირებდა.

დღეს კი, როცა მენშევიკურმა პარტიამ დაგმო ძველი გზა და დადგა საბჭოთა პლატფორმაზე, ცხადია, ამ კონსერვატიულ და კონტრ-რევოლიუციონურ მასსას დაეკარგა ნიადაგი მუშაობის და დაეკარგა აგრეთვე იმედი საბჭოთა მთავრობის ჩამოგდებისა.

ამიტომაა, რომ ამ მასსას დღეს ყოფილი მენშევიკი უფრო სძულს, ვიდრე ბოლშევიკი.

შეიძლება ბევრს ჩვენ ამხანაგს აფიქრებდეს საერთოდ მეშჩანურ და კონსერვატიულ მასსაში შექმნილი ასეთი მდგომარეობა.

ერთმა ამხანაგმა ამ დღეებში კიდეც შემოგვჩივლა:

წინეთ ყველასთან კარგ განწყობილებაში ვიყავი. მენშევიკურ პარტიისათვის ფაქტიურად თავი მქონდა დანებებული. ეს იცოდენ კომუნისტებმაც. ამიტომ კარგ განწყობილებაში იყვნენ ჩემთან. უბრალო მასსა, ვინც კი მიცნობდა, სიმპატიით მეპყრობოდა. სხვა პარტიები ვერაფერს ცუდს ჩემს შესახებ ვერ იტყოდნენ. მაგრამ მას შემდეგ, რაც აქტიურად გამოველ და დავდეგ საბჭოთა პლატფორმაზე, ვატყობ განწყობილება ძალიან შეიცვალა. ეს მასსა მტრული თვალით მიყურებს. შეიქმნა მძიმე ატმოსფერა.

ეს ამხანაგი ჩააფიქრა ამ მდგომარეობამ. მაგრამ საჭიროა საღი შეხედულება ამ საგანზე და აშკარა იქნება ჩვენთვის, რომ ასეც უნდა მომხდარიყო.

ჩვენ ჩავიდინეთ დიდი ღალატი იმათ წინაშე, ვინც ლამობდა, ვინც იმედოვნებდა ჩვენი საშვალებით საბჭოთა ხელისუფლების ჩამოგდებას.

მაგრამ ჩვენ უარვყავით ის მოღალატური გზა მუშათა კლასისათვის, რომელშედაც ჩვენ წინეთ მივდიოდით.

დღეს თუ ჩვენს წინააღმდეგ ამხედრებულია კონსერვატიული მასსა, **ესაა ჩვენი გამარჯვება, სოციალისტური გზის გამართლება.**

თუ წინეთ ჩვენ მხარს გვიჭერდნენ საბჭოთა წინააღმდეგ მუშაობაში, სიმპატიით ვეპყრობოდა კონსერვატიული მასსა, ეს იყო ჩვენი დამარცხება სოციალისტურ გზაზე, ამიტომ ამხანაგები არ უნდა შეუშინდენ ტროტუარებზე მოლაყბე ბალხის სულიერ განწყობილებას ჩვენ მიმართ.

ერთხელ მოხუცმა ბებელმა სთქვა:

მე ძალიან მაფიქრებს, როცა ჩემი მტრები მაქებენ,— ბომ მუშათა კლასის საწინააღმდეგო არაფერი ჩამიდენიაო, მაგრამ ჩემი პოზიციის სიმაგრეში დარწმუნებული ვარ, როცა მტრები მაგინებენო.

ჩვენც ასე უნდა ვიქცეოდეთ.

ჩვენი კლასიური მტრების ჩვენდამი ასეთი განწყობილება გვარწმუნებს იმაში, რომ წინეთ მართლაც ვცდებოდით, დღეს კი სწორ გზაზე ვართ.

რაც შეეხება ჩვენი ყოფილი ამხანაგების მცირე ჯგუფს, ეს რიგებიც თანდათან ირღვევა და იქიდან აქტიური ელემენტი თანდათან გადმოდის ჩვენს რიგებში.

ეს კი მომასწავებელია იმისა, რომ ჩვენი სწორი პოზიციის ლოლიკას ვერ გაუძლებს მენშევიკური ცეკას ბაქი-ბუქობა და ინტრიგანობა.

ჩვენი ლოზუნგია:

— მტკიცეთ პოზიციებზე!

და აქ მოვა ყველა ის, ვინც ორგანიულად, ბუნებრივად უნდა იყოს მუშათა კლასთან.

სახალხო თეატრის 30 წლის იუბილე.

9 დეკემბერი სახალხო თეატრის 30 წლის არსებობის ზეიმის დღეა.

საუკუნის თითქმის ერთი მესამედის გასწვრივ დაუღალავი სამსახური მშრომელთა საკეთილდღეოთ უეჭველად დიდი მოვლენაა. იმ დროს, როდესაც შავი ჯანყი მოსავდა საქართველოს მშრომელი ხალხის ყოფნას, იმ დროს, როდესაც რუსეთის მეფის მთავრობის უღელქვეშ იზნიქებოდა მშრომელთა ბედ-იღბალი, იმ დროს, როდესაც არ ისმოდა არსაიდან ხმა უკეთესი მომავლისა, ამ დროს თფილისის გარე უბნებში ჩნდებიან სცენისმოყვარეები, რომლებიც ლახავენ ათასგვარ დაბრკოლებას და რაინდულის გატაცებით მიდიან ახალ გზაზე.

თუ ქართველი ინტელიგენციის უმრავლესობას, ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური იერის მატარებელს კიდევ მოეპოებოდა კულტურულ მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებელი დაწესებულებები—ქართველი მუშების ერთად-ერთ თავშესაფარს წარმოადგენდა „ავჭალის აუდიტორია", სადაც პირველად დაირწა აკვანი სახალხო თეატრისა.

თფილისის მუშებმა შეიყვარა სახალხო თეატრი, იგი იყო მისი სტუმარიცა და მასპინძელიც.

სახალხო თეატრი გადაიქცა იმ ასპარეზათ, სადაც მუშები ეცნობოდენ მხატვრულ სახეებში ამეტყველებულ საკაცობრიო იდეალებს; სახალხო თეატრი არჩევდა თავდადებას მიზნისადმი, ამზადებდა მომავალი ბრძოლისათვის, აკაჟებდა მათ ნებას და ზრდიდა სურვილს საუკეთესო მერმისის განსახორციელებლად.

სახალხო თეატრი ერთ და იმავე დროს ორ დანიშნულებას ემსახურებოდა. იგი იყო ქართული კულტურის ერთ-ერთი კოცონთაგანი და ამავე დროს მას იდუმლად რევოლიუციის წითელი დროშაც ეპყრო ხელთ. სახალხო თეატრი პოლიტიკური ბრძოლის ტრიბუნაც იყო, რომელიც აღვივებდა რევოლიუციონურ ცეცხლს და აჩვევდა ბრძოლას ყოველგვარ უკუღმართობის წინააღმდეგ.

ამ მხრივ სახალხო თეატრი განსაკუთრებული მოვლენაა საქართველოს რევოლიუციონურ მოძრაობის ისტორიაში.

სახალხო თეატრმა თავისი 30 წლის არსებობის განმავლობაში ბევრი ხელის შემშლელი პირობები სძლია და გადალახა, მაგრამ თუ მას არც ერთხელ არ უღალატია მშრომელთა ინტერესებისათვის, თუ დროშა მშრომელთა სამსახურის მის ხელებს არც ერთხელ არ დაუშვია ძირს, ეს იმიტომ, რომ მას პატრონობდა თვით ბრძოლაში გაკაჟებული მუშები და მოწინავე ინტელიგენციის წრიდან გამოსულნი—მშრომელთა ინტერესებისთვის თავდადებული პირები.

სახალხო თეატრი გადაიქცა თფილისის მუშებისათვის ერთგვარ სკოლად, სადაც ჯერ კიდევ ადრე გიორგი წერეთელი ლექციებს უკითხავდა მუშებს ქართულ მწერლობაზე, ისტორიაზე და ხელოვნებაზე, ხოლო შემდეგ კი სახალხო უნივერსიტეტთან ერთად იგი აწვდიდა საერთო განათლებას, რომლის მნიშვნელობა კულტურულად ჩამორჩენილ ჩვენი მუშებისათვის განუზომელია.

მართალია, დედაბოძი სახალხო თეატრისა იყო თბილისის მუშები, მაგრამ არა ერთი და ორი პატიოსანი ინტელიგენტი მიიზიდა სახალხო თეატრმა მუდმივი სამუშაოდ, მაგალითად: კოტე შათირიშვილი, წუწუნავა და სხ. აღსანიშნავია ისიც, რომ ქართველი მსახიობები მუდამ თავაზიანად და სიამოვნებით ღებულობდენ მონაწილეობას სახალხო თეატრის სცენისმოყვარეებთან, რომელთა შორის იყვნენ ისეთნიც, რომლებიც დღეს აკადემიურ თეატრსაც კი ამშვენებენ.

9 დეკემბერი უეჭველად საყურადღებო მოვლენაა ქართული თეატრალურ ხელოვნებაში, ჩვენს რევოლიუციონურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

აღბად მოვესწრებით საქართველოს მშრომელი ხალხის რევოლიუციონური მოძრაობის ისტორიას და ამ მატიანეს ფურცლებზე ჩვენ ვიხილავთ სხვა მრავალ საყურადღებო მოვლენათა შორის სახალხო თეატრის ნაყოფიერ შრომის ღირსეულ დაფასებას.

თუ ქართველი მშრომელი ხალხი ცნობილია თავისი პოლიტიკური შეგნების სიძლიერით, სამწუხაროთ, კულტურული ცხოვრების დონე ვერ არის დამაკმაყოფილებელ სიმაღლეზე დამდგარი და ჩვენ გვინდა მუშათა კლასი, რომელიც ნებით ისტორიისა არის ერთად-ერთი მმართველი პოლიტიკური ცხოვრების, იყო მეტი კულტურული, მეტი განვითარებული.

ამ ნაკლის გამოსწორებას შეძლების დაგვარად ცდილობდა სახალხო თეატრი 30 წლის განმავლობაში. მაგრამ მისი საშუალება მეტად მცირე იყო, მისგან მიღებული განძი წვეთია ზღვაში. საჭიროა გაცილებით უფრო ფართოდ გაშლა სახალხო თეატრებისა და სახალხო სახლებისა, რათა მისწვდეს ჩვენი ქვეყნის ყოველი კუთხეს და ეზიაროს ჩვენი მშრომელი ხალხი ჭეშმარიტებისა და ნამდვილი ხელოვნების ემბაზში.

ისტორიის ქარცეცხლში განსაკული ქართველი მშრომელი ხალხის ბედი უკვე უზრუნველყოფილია. მართალია, პოლიტიკური ბრძოლის ასპარეზზე გამარჯვებულმა მშრომელმა ხალხმა დაანგრია ძველი საზოგადოების ყოველგვარი დახავსებული ფორმები, მაგრამ ის, რაც მისი ხელით კეთდებოდა იმ შავბნელ დროში—თავისივე ინტერესებისათვის—ცხადია ასეთი დაწესებულებას განსაკუთრებული მშობლიური გრძნობით აღსავსე სიყვარულით მოუვლის და გაამშვენიერებს. ერთი ასეთი მომავალი საზოგადოების თვალსაჩინო დაწესებულება იყო სახალხო თეატრი, რომლის 30 წლის არსებობას ქართველი მშრომელი ხალხი ზეიმობს 9 დეკემბერს. ამ დღეს ყველა დაინახავს, თუ როგორ აფასებს მუშათა კლასი ყველა იმათ, თუ გინდ სხვა წრიდან გამოსულს, ვინც კი პატიოსნათ ემსახურება მშრომელთა ინტერესებს და ჩვენ გვგონია ბევრი გადალახავს რუბიკონს ამიერიდან და უფრო მეტის გატაცებით გადაეშვება მშრომელთა სასამსახუროთ.

ხოლო იმ მცირერიცხოვან მუშაკებს-პიონერებს, ამ დიადი საქმის დამწყებთ, რომლებმაც მიაღწიეს მათი საყვარელი სახალხო თეატრის 30 წლის იუბილეზე, შეუძლიანთ პირნათლად წარსდგენ საზოგადოების წინაშე და გაიმეორონ ძველი ლათინელების თქმა: feci quod potui (ვქენი ის, რაც შემეძლო) და დარწმუნებული იყონ ეს პატიოსანი მუშაკები, რომ მადლიანი მშრომელი ხალხი ღირსეულად დააფასებს მათ შრომას.

ა. კალაძე.

ნდობას უსათუოდ გავამართლებთ.

უკვე სწარმოებს მუშათა და გლეხთა თბილისის საბჭოს არჩევნები. წინეთ ჩვენ ამ არჩევნებს გაურბოდით, ბოიკოტს უცხადებდით. წელს კი მდგომარეობა ამ მხრივ ძალიან შეიცვალა: ჩვენ უკვე არა ვართ მტრები საბჭოებისა, ჩვენ არ ვებრძვით მას. ჩვენ მასში არ ვხედავთ ჩვენს მოსისხლე მტერს, არა, ჩვენ ის ახლა მიგვაჩნია, და რაკი ერთხელ და უკანასკნელად შევდექით ახალ გზაზე, მუდამ უნდა მიგვაჩნდეს რევოლიუციონური მუშათა კლასის რევოლიუციონურ ორგანოდ. ამ არჩევნებში ჩვენც, კომპარტიასთან ერთად მხურვალე მონაწილეობას ვიღებთ. ჩვენი გულწრფელად მისვლა რევოლიუციასთან სათანადო ორგანოებმა უკვე ღირსეულად დააფასეს და საბჭოში წამოყენებულია 30 კანდიდატი ყოფილ მენშევიკებიდან. ეს ფაქტი ბევრ რამის მეტყველია. უპირველეს ყოვლისა კი ეს ფაქტი ჩვენ გვეუბნება, რომ ჩვენ მოვიპოვეთ მუშათა კლასის და მისი ხელმძღვანელების ნდობა.

მაგრამ ნათქვამია: მდგომარეობა ავალებსო.

და ჩვენც ვგრძნობთ დიდს პასუხისმგებლობას მუშათა კლასის და მისი ხელმძღვანელი პარტიის წინაშე. ამ პასუხისმგებლობის გრძნობით და მუშათა კლასის საქმის კეთების სურვილით და ამ საქმისთვის თავდადების გრძნობით მივდიავართ ჩვენ საბჭოებში.

ჩვენს ამხანაგებს აქვთ საკმაოდ დიდი რევოლიუციონური წარსული და გამოცდილება. მათ ათეული წლობით უბრძოლნიათ მუშათა კლასის მტრებთან, რომ ის მის ხელიდან გამოეგლიჯათ. დღეს კი, როცა მუშათა კლასი და გლეხობა თავის საქმეს თვითვე აკეთებს და თვითვე განაგებს თავის ბედიღბალს, ჩვენი ამხანაგები მოვალენი არიან ახლოს მივიდნენ მასთან და მთელი თავისი ენერგიით, ცოდნით, ნიჭით და გამოცდილებით დაეხმარონ მუშათა და გლეხთა მასსებს, ამ ახალი საქმის კეთებაში, საბჭოთა აღმშენებლობაში.

ჩვენ კარგად გვესმის, რომ თუ მუშათა კლასი და გლეხობა საბჭოთა რესპუბლიკებში შექმნიან მტკიცე და ურყევ მეურნეობას, თუ საბჭოთა კავშირი განმტკიცდება, საერთაშორისო პროლეტარული რევოლიუციის საქმე მოგებულია.

ამიტომ საბჭოთა აღმშენებლობისათვის მუშაობას გარდა ადგილობრივისა უაღრესად დიდი საერთაშორისო მნიშვნელობაც აქვს.

ჩვენ ყველაფერი ეს გვესმის და ვფიქრობთ გავაკეთოთ ყველაფერი ის, რის გაკეთებაც კი შესაძლებელი იქნება დღევანდელ პირობებში.

დღემდე ჩვენ მხოლოდ სიტყვით დაუკავშირდით მუშათა კლასს და მის ხელმძღვანელ პარ-

ტიას. დღეიდან ჩვენ საშუალება გვეძლევა ჩვენი სიტყვა საქმედ ვაქციოთ და კომპარტიასთან ხელი-ხელ ჩაკიდებული ვაკეთოთ პროლეტარიატის და მშრომელი გლეხობის საქმე.

ჩვენ ორგანიულად უნდა შევეთვისოთ მუშათა კლასს და შევითვისოთ ბრძოლის ყველა ის მეთოდები, რომელთაც საბჭოთა ხელის-უფლება იყენებდა 6 წლის ბრძოლის პროცესში. ძველი შეცდომების გათვალისწინება ჩვენ საშუალებას მოგვცემს უშეცდომოთ და სწორად მუშაობისა მომავალში.

ჩვენს ამხანაგებს შეუძლიათ ბევრი რამის გაკეთება. კიდევაც გააკეთებენ. ჩვენ უნდა დაუმტკიცოთ მტერსა და მოყვარეს, რომ მუშათა კლასის და მშრომელი გლეხობის ბედი ჩვენ გვაინტერესებს ისე, როგორც ჭეშმარიტ კომუნისტებს.

საკანონმდებლო დაწესებულება ეს უმაღლესი ორგანოა და ამ ორგანოში მომუშავეებმა უნდა გამოიჩინონ შემოქმედებითი მუშაობის მაქსიმუმი უნარი.

ამხანაგებო! ჩვენ დიდი ნდობა გამოგვიცხადეს. ეს ნდობა ჩვენ უსათუოდ უნდა გავამართლოთ.

გავამართლებთ კიდეც.

ამის თავდებია ჩვენი რევოლიუციონური წარსული, რევოლიუციის მწარე გაკვეთილები, მხნეობა და დიდი სურვილი მუშათა კლასისათვის თავდადებისა.

ამ იმედით მივდივართ ჩვენ საბჭოში.

გ. ვ—იანი.

ინტერვენციის გარშემო

ყოველ მებრძოლ პარტიას აქვს თავისი დასაყრდნობი მთავარი ძალა. ეს ცენტრია, რომლის დაკარგვა დამარცხებას ნიშნავს. შეიძლება ძალთა ნახევარი დაჰკარგო, მხოლოთ ეს მთავარი ხელიდან არ გაუშვა. ბრძოლის სტრატეგია მოითხოვს ამას. აქ მიზანი საშუალებას ამართლებს. ყოველი ღონისძიება და ხერხი მისაღებიაო, ამბობს ფრანგული ანდაზა;—თუ კი ეს პროლეტარიატის წინააღმდეგაა მიმართული, უმატებს საერთაშორისო ბურჟუაზია.

და მართლაც, ყოველ ღონისძიებას ხმარობს დღევანდელი ფაშიზმი ბრძოლაში ჩაბმულ პროლეტარიატის მიმართ. სად ვოროვსკის მოჰკლავს, სად ფინეთს წაუღიზიანებს რუსეთის რევოლიუციის წინააღმდეგ, ხან რაკოვსკის არ აჩვენებს ლორდ კერზონის ვიცე-კანოლურ დიდებულებას, ხან პოლონეთს გაიწვევს საღემონსტრაციოთ, ხან... ხან საქართველოს „აღდგენაზე“ მასლაათობს.

ქართული მენშევიზმის მთავარი დასაყრდნობი პუნქტი დღეს ეროვნული საკითხია, ანუ საქართველოში ყოფილი მდგომარეობის აღდგენა. რუსეთის რევოლიუციასთან ბრძოლის პროცესში 25 თებერვლის აქეთ მან სხვა პოზიციები დაჰკარგა. ეს უკანასკნელი საკითხი ის ცენტრია, რომლის დაკარგვა სრულს დამარცხებას ნიშნავს, ამიტომაა, რომ მან ამ პუნქტს ასე მაგრად ჩასჭიდა ხელი. მან სრულიათ შეითვისა, როგორც ფრანგების ანდაზა, ისე ამ ანდაზაზე ფაშიზმის დამატებაც და, როგორც ვიცით, აშკარა ინტერვენციის გზას დაადგა.

და ჩვენ გვინდა გავარჩიოთ ის, რამაც მოიყვანა მენშევიზმი ამ გზამდე. ეს არ იქნება „პოლონეთის დემონსტრაციის“ საპასუხო საყურნალო დემონსტრაცია, ეს აუცილებელი საჭიროებაა ვიცოდეთ **რაც შეიძლება განმეორდეს**, რომ ამ **შეიძლებას შესაძლებლობა არ არ მივსცეთ**

როდესაც იფეთქა 25 თებერვალმა, მაშინ ჩვენ ის შევაფასეთ, როგორც ეროვნული ომი. ყურები დავიხშეთ, რომ „ინტერნაციონალი“-ს ხმები არ გაგვეგონა, ვამბობდით, ეს „Боже царя храни“—არისო. შემდეგ „დიდებას“ ვმღეროდით და მასში დამოუკიდებლობას ვსტიროდით. მოველოდით მუშათა დაქსასვას, გლეხების დარბევას, ქვეყნის გაპარტახებას. დრო მიდიოდა, მაგრამ გვერანება ქვეყნისა არ მოდიოდა. წარმოება არ დაცემულა და მუშათა კლასი არ დაიქსასა. გლეხებს მიწები დაურიგდა და დარბევაზე ფიქრიც კი მოკვდა. ქვეყანა გაპარტახების ნაცვლად აღორძინების გზას დაადგა. მიმასადამე, სოციალ-ეკონომიური მხარე ცხოვრებისა არ წავიდა იმ გზით, როგორც ვფიქრობდით. ეს დავინახეთ და 25 აგვისტოს კარები გაუღეთ ფართეთ, ახლა კი ყრუსაც ესმის „ინტერნაციონალი“-ს ხმები. ის ბამბა, რომლითაც დავიცეთ ყური, რომ ეს ხმები არ გაგვეგონა, სუსტი გამოდგა, სიმყარე არა ჰქონია. ეს ჩვენმა საზღვარ-გარეთლებმაც დაინახეს. დაინახეს და მიხვდნენ, რომ ბრძოლის ამ ხაზზე ბრძოლა წაგებული იყო; აქ სასიკვდილოთ დაიჭრა ემიგრაცია. მაგრამ დაჭრილ ორგანიზმს უსისტემო გაბრძოლება, მოუფიქრებელი მოძრაობა ახასიათებს. ასეთი ხასიათი აქვს მათ მიერ საინტერვენციოთ ევროპის იმპერიალისტურ სახელმწიფოთა მოწვევას საქართველოს შინაურ საქმეებში ჩასარევათ. მაგრამ, სანამ ამას შევეხებოდეთ, საჭიროა ერთი მომენტის გარჩევა, გათვალისწინება. ეს ევროპის მუშებსა და მათი ჩვენთან დამოკიდებულებაა.

ემიგრაცია ჩვენ წასვლისას და წასვლის შემდეგაც გვარწმუნებდა: დაიცადეთ, ევროპის მუშები დაგვეხმარებიანო. მართლაც ევროპის ზოგიერთ ქალაქებში შეიკრიბენ მუშები, მათ ელაპარაკეს ათასჯერ გადაღეჭილი ფრაზები „ბოლშევიკების ველურობაზე“, მუშებმა გამოიტანეს რეზოლიუციები, დაუკრეს ტაში და მორჩა გათავდა. დღეები მიდიოდენ, საქართველოში კაციჭამიობა არ მოხდა, ევროპის მუშებს ჩვენთვის არ ეცალა. იქ მათ უფრო რთული და პოლიტიკური მხრით უფრო დიდი და ფართე ხასიათის საკითხები დაუდგათ წინ. საქართველოს საკითხი მათთვის აქტუალურ საკითხათ არ გადაიქცა. გარდა ამისა, ეს მუშები მე-II-რე ინტერნაციონალში შედიან, მე-II-რე ინტერნაციონალს კი არ უნდა იმპერიალისტური ინტერვენცია რუსეთის რევოლიუციის საქმეებში, საქართველოს საკითხი კი არამც თუ ისტორიულათ, ფაქტიურათაც რუსეთის დიდი რევოლიუციის საკითხი გახდა. ლოღიკურია, რომ აქედან არაფერი გამოვიდა. მაგრამ 25 აგვისტომდე საქართველოს სოციალ-დემოკრატია მე-II-რე ინტერნაციონალში შედიოდა, ულოღიკობა იყო მისი მოთხოვნა რუსეთის რევოლიუციის საქმეებში ჩარევა გარეშე ძალების საშვალებით და აი ის იჭერს პირდაპირ კავშირს სხვა ძალებთან. ეს ძალები იმპერიალისტური ძალებია. სასიკვდილოთ დაჭრილ ორგანიზმის უსისტემო გაბრძოლებამ ეს ორგანიზმი—ემიგრაცია—იმპერიალისტებთან კავშირამდე მიიყვანა. როგორ მოხდა ეს? რატომ არის, რომ ევროპის ბურჟუაზიას სურს საქართველოს „განთავისუფლება?“

ეს ცნობილი ჭეშმარიტებაა, რომ საქართველოს გეოგრაფიულ მდგომარეობას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს იმისთვის, ვისაც სურს აღმოსავლეთში პოლიტიკა აწარმოვოს. გარდა ამისა ბაქოს ნავთი, ჭიათურის ქვანახშირი. ამ აზრს არც გაფართოება, არც დასაბუთება არ სჭირია, ეს ყველასათვის ანბანია.

მაგრამ ამ ანბანას გარშემო ზღაპრული გორდიუსის კვანძი ისკვნება, აქ ხვდებიან ერთმანეთს საზღვარგარეთელი ბურჟუაზია და საზღვარგარეთელი ემიგრაცია საქართველოსი. აზრთა ერთიანობას მოქმედებათა ერთიანობა მოსდევს და აქ ამ ორ ძალთა ულოღიკო კავშირი ლოღიკურ დასკვნამდე მიდის. ორთავეს უნდა საქართველოში ფეხის მოკიდება, მაგრამ ერთს ამისთვის ფიზიკური ძალა შესწევს, მეორეს არა. საჭიროა მეორემ ფიზიკურ ძალას გამართლება მოუპოვოს და ის თავის უფლებებზე ლაპარაკობს. ერთის მორალური უფლება, მეორესი ფიზიკური ძალა, ორივე ერთად ბრიყვთათვის-საქართველოს განთავისუფლება,—ხოლო ფაქტიურათ ინტერვენცია.

მაგრამ ყოველ მოქმედებას გამამართლებელი ატრიბუტები უნდა ჰქონდეს და საინტერესო ის არის, თუ როგორ და რითი ასაბუთებენ ინტერვენციას საფრანგეთის ბურჟუაზიის იდეოლოგები. ცნობილი ჰერიო, მაგალითად, ასე ასაბუთებდა: საქართველო ლამაზი ქვეყანაა, იქ მშვენიერი ჰაერია, მშვენიერი ფირუზოვანი ცაა, ლამაზი მთებია. ღვინოც ტკბილი იცის და გემრიელი, მაგრამ განსაკუთრებით საქართველოში ლამაზია ქალები. შავთვალებიანი, ხშირ თმიანი... და ასე, ამრიგათ. ჰერიოსთვის საქართველო ლამაზი ქალია, შავ-ეუეუნა თვალებიანი. ჰერიო, ალბათ, მიჩვეულია შავ თვალა როსკიპების ყიდვას, მას საქართველო ასეთ ქალათ წარმოუდგენია და ამბობდა: ასეთი ქალი სხვას როგორ უნდა ჩავუგდოთ ხელშიო.

პოლიტიკური როსკიპიზმი ახალი მოვლენა არ არის, არც ჰერიოს შეუძლია მისი იდეოლოგობით ამაყობა. როდესაც პოლონელ პატრიოტებმა მოინდომეს ნაპალეონის მეობებით დიდი პოლონეთის აღდგენა, მეძავ ნაპალეონს მიგვარეს გრაფი ვალერსკის ქალი. ძალიან ლამაზი ყოფილა, თურმე ნაპალეონსაც ნუ იტყვით, ლამაზები ყვარებია. პოლონეთი არ აღსდგა, ხოლო ვალერსკის ქალი კი დაიკა. და ბათ, ვინც დღეს ეყრდნობა ინტერვენციის იმედს, უნდა იცოდენ, თუ სანამდე მიიყვანს ქართველ მშრომელ ხალხს ინტერვენციის გზა, მე მგონია ჰერიოს ანალოგიაში: ქალი და საქართველო უფრო ღრმად დამაფიქრებელი რამ იმაზრება. ჯერ კიდევ „კომუნისტურ მანიფესტში“ მარქსსა და ენგელს აქვთ ნათქვამი, თუ როგორ უყურებს ქალს ბურჟუა: ქალი საწარმოო საშვალებაა. მაშასადამე, მისი ყიდვაც შეიძლება, გაყიდვაც. საქართველოსაც ასეთი ქალის ბედს უმზადებენ იქ. ეს არ არის გადა-

მეტება, არც სიტყვათა თამაშია აქ. ჩვენ გული გვტკივა ჩვენს ქვეყანაზე, გული გვიკვნესს მისთვის და ვამბობთ: როდესაც ვინმეს სურს საქართველოსთვის კარგი—ჰკითხოს საქართველოს მუშასა და გლეხს. რასაკვირველია ჩვენ მონოპოლია არ აგვიღია ქართველ მუშა და გლეხის სახელით ვილაპარაკოთ, მაგრამ იმდენათ, რამდენათ ჩვენ ვსწვდებით მათ გულის სირღმეში ჩამარხულ ნაღველს, ვამბობთ:

— ნურვინ ნუ ერევა ჩვენს შინაურ საქმეებში გარედან;

— ევროპის იმ მუშებს, რომლებმაც ჩვენს შესახებ რეზოლიუციები გამოიტანეს, თუ ჩვენთვის კარგი უნდათ, თავზე გადაატეხონ თავიანთ ბურჟუაზიას ის იარაღი, რომლის გამოგზავნას საქართველოში ლამობენ ისინი:

— საბჭოთა სისტემა გადაიქცა ჩვენი შინაური საკითხათ და არავის არა აქვს უფლება გარედან თავზე დაგვახვიოს სხვა, ახალი თუ ძველი.

სწორეთ: Timeo Danaos, bona terentas.

და აქ, ამ ხაზზე, ერთხელ სამუდამოთ უნდა მივატოვოთ ცქერა დასავლეთ ევროპისკენ. ის წყეული ნაზარეთია საიდან კარგი არა იქნება რა, სანამ იქ ბურჟუაზიაა. ჰერიო შარშანწინ ჩვენ „გვექომაგებოდა“, შარშან კი მოსკოვში საქმეებს აწყობდა და თავს მშვენივრათ გრძნობდა. ასეთია ბურჟუაზიის ფსიქოლოგია.

ასე, პოლიტიკურმა გაკოტრებამ, კლასიური პოზიციების დაკარგვამ, წვრილ-ბურჟუაზიულ პოზიციებზე გადასვლამ მიიყვანა ემიგრაცია ამ გზამდე.

ჩვენ ერთხელ და უკანასკნელათ უარვყოფთ ინტერვენციის გზას. ეს გზა ჩვენ ფიზიკურ განადგურებამდე მიგვიყვანდა. ამ გზას მხოლოდ ჩვენი ერის მოსისხლე მტრები თუ დალოცავდენ.

მე ვფიქრობ, ჩვენც და ისინიც, ვინც ამ გზას ადგია, წარვსდგებით პირისპირ ისტორიის სამსჯავროს წინაშე და არა როგორც წარსულის აჩრდილნი, არამედ როგორც რევოლიუციონური ბრძოლის მონაწილენი. და თუ შეიძლება, ჩვენ სადმე სუსტნი ვართ, ამ საკითხში ჩვენ მაგარნი ვართ, მაგარნი კლდესავით და სინიდის გარეცხილი უნდა იყოს მსაჯული, რომ ჩვენ გაგვამტყუნოს.

ამ რწმენით განვაგრძობთ ჩვენს გზას, ამ რწმენით მოვიგლიჯეთ გულიდან ჩვენი ოდესლაც საყვარელი ბელადები და ამ რწმენით ვეუბნებით ჩვენ დღეს საქართველოს:

— დინჯათ, არავინ ჩაგითრიოს ამ სახიფათო უფსკრულში!

— ფრთხილათ, საზღვარ-გარეთიდან შემოტანილი იარაღი ყელს გამოგიჭრის და შენივ სისხლში ჩაგახრჩობს!

— ჩვენი ფიქრი კი, ჩვენი ფიქრი შენზე არასოდეს არ დაობლდება!...

რ. ჭორჭია.

„ფრანსუა“ ხომერიკის ტყუილები.

ნოე ხომერიკს, რომელიც ჩვენში „ფრანსუას“ ფსევდონიმით ეწეოდა საბჭოთა წესწყობილების წინააღმდეგ შავ მუშაობას, უნახეს უამრავი მიწერ-მოწერა, რომელიც ნათელს ფენს ამ ვაუბატონის ავანტიურას, სიყალბეს, შავბნელით მოცულ საქმიანობას.

ყველაზე უფრო ამ მიწერ-მოწერაში ყურადღებას იქცევს წერილი ცეკას საზღვარ-გარეთელ ბიუროსადმი. ნოე ხომერიკი, ფრანსუას ფსევდონიმით, აცნობებს საზღვარ-გარეთელ „ამხანაგებს“:

„როგორც წინა წერილში ვწერდი, საკითხი აჯანყების შესახებ სერიოზულადაა დასმული: შესაძლებელია განხორციელდეს ახლომომავალში. თუ იგი ჩაიშალა, მე თავიდანვე ვიხსნი პასუხისმგებლობას. დამნაშავენი იქნებით თქვენ. თქვენ რომ თავის დროზე დაგეწყოთ ლაპარაკი, შესაძლოა საქმე უფრო კარგად წასულიყო. ამის შესახებ მე ზოგადათ უკვე გწერდით. თუ ეს საქმე სასურველად დამთავრდა, საჭირო იქნება იარაღი და თუ თქვენ ამ მიმართულებით მოახერხებთ რამეს, დიდი მიღწევა იქნება. თუ ძალა-უფლებას ხელში ჩავიგდებთ და რუსეთი დაძრავს თავის ჯარებს, ნუ თუ მაშინ პოლონეთი უბრალო დემონსტრაციას მაინც არ მოახდენს“.

რამდენი სიტყვაა ამ წერილში, იმდენი სიყალბეა.

საიდან გაიგო „ფრანსუა“ ხომერიკმა, რომ საქართველოში უკვე მზადაა ნიადაგი აჯანყებისთვის?

ყოველ შემთხვევაში 30 აგვისტოს შემდეგ აჯანყების ყოველივე იმედი უნდა დაკარგოდათ ამ გზა-კვალ აბნეულ ხალხს.

გარდა ამისა ამ წერილმა აშკარა ჰყო, რომ ავანტიურისტებს სერიოზული იმედი ქონიათ იმპერიალისტური იარაღის, ჯარების, ინტერვენციის.

როცა ჩვენ ვეუბნებოდით მათ, რომ ინტერვენციის ხელის შეწყობა ღალატია მუშათა კლასის ინტერესებისთქო, ისინი გვიპასუხებდენ ს. დევდარიანის წერილებით, რომ ინტერვენციის მომხრე იყვნენ სწორედ ისინი, ვინც გაიქცა სოც.-დემოკრატიული პარტიიდანო. ამის თქმა ს. დევდარიანს მოუნდა მხოლოდ იმისთვის, რომ ჩირქი მოეცხო იმ 12 ათასი პარტიის წევრთათვის, რომლებმაც ზურგი აქციეს ავანტიურისტებს.

მაგრამ ეხლა მაინც ხომ დღის სინათლეზე გამოაშკარავდა თუ ვინ ელოდა იმპერიალისტურ ინტერვენციას, ვის უძგერდა გული ამისთვის, ვინ თხოულობს იარაღს ბანდების შესაიარაღებლათ...

ხომერიკი თხოულობს იმპერიალისტურ ქვეყნებიდან იარაღს...

ვისთვის უნდა დაერიგებია აქ ეს იარაღი? ჩვენი სალიკვიდაციო ყრილობის შემდეგ ხომ აშკარაა ყველასათვის, რომ მუშათა კლასი აჯანყებას არ მოახდენს.

ჩვენ გზას შემოუერთდა აგრეთვე 5 ათასი ახალგაზრდა მარქსისტი.

საქართველოს გლეხები სრულიადაც არ არიან აჯანყებისათვის განწყობილნი.

დარჩა ბანდიტები, ტყეში გადაცვივნული ყაჩაღები, თავადები, ყოფილი მემამულეები, რომლებიც ყოველთვის მზად არიან ჯავრი იყარონ მუშურ-გლეხურ მთავრობაზე.

აი ამათთვის იძენდა ნოე ხომერიკი იარაღს.

და დღე მუშათა კლასმა გადაჭრას თუ რამდენად მუშურ საქმეს აკეთებდა ხომერიკი.

ნოე ხომერიკის ფანტაზია რომ განხორციელებულიყო, ეს იქნებოდა ჩვენი ქვეყნის სამოქალაქო ომის ქარ-ცეცხლში გახვევა.

მუშურ-გლეხური მთავრობა განა ვინმეს უბრძოლველათ დაუთმობს ძალა-უფლებას?

და ეს სამოქალაქო ომის ქარ-ცეცხლი განა შეადგენს ჩვენი ქვეყნის ინტერესებს?

ჩვენ შევდგით ფეხი მშვიდობიან აღმშენებლობის პროცესში. ჩვენში დღეს სწარმოებს დიდი დადებითი მუშაობა ჩვენი ქვეყნის ასაღორძინებლათ, წინ წასაწევად, ეკონომიურად და პოლიტიკურად გასაძლიერებლათ, მშრომელი მასისთვის საჭირო პირობების შესაქმნელად.

და ამ დროს ნოე ხომერიკი ცეცხლს ანთებს აქ და ამ ცეცხლში უნდა ჩაფერფლოს მუშათა კლასის ინტერესები, მიყავს ჩვენი ქვეყანა ფიზიკურ განადგურებისკენ.

ეს კი ღალატია არა მარტო მუშათა კლასის, არამედ მთელი ჩვენი ქვეყნის...

ჩვენი ყრილობის შემდეგაც ჩვენს რიგებში გადმოვიდა ბევრი ამხანაგი, მათ შორის ცეკას აქტიური მომუშავენიც.

ეს ამხანაგები გადაჭრით აცხადებენ, რომ არაფერი მოლოდინი აჯანყების მათ არ ქონიათ. პირიქით, ისინი ხედავდენ, თუ როგორ ირიყებოდენ მუშათა კლასისგან.

და თუ ვინმე სვამდა ამ კითხვებს, ალბად თვითონ ხომერიკი, და ორიოდე ავანტიურისტი, რომლებიც ტყუილებით სავსე ინფორმაციას უგზავნიდენ საზღვარ-გარეთელ ბიუროს, რომ მიეღოთ მათგან დახმარება, ფული.

ხომერიკის დოკუმენტებში არის ლაპარაკი საზღვარ-გარეთიდან ფულის მიღებაზე, არის თხოვნა ფულის კიდევ გამოგზავნის შესახებაც. ალბად, საზღვარ-გარეთიდინ ფულის მიღება სრულიად დაკავშირებულია იმაზე, თუ როგორ აქტიურად მუშაობენ აქ დარჩენილი მენშევიკები.

ფული ეძლეოდათ მხოლოდ იმ პირობით, თუ ისინი აქ მოაწყობდენ აჯანყებას.

და აი ჩვენი „ფრანსუაც“ რიხით სწერს თავის საზღვარ-გარეთელ ამხანაგებს, რომ აჯანყება სულ მოკლე ხანში იფეთქებსო.

„ფრანსუა“ არ წითლდება და სხვა ბევრ ჭორსაც უგზავნის საზღვარ-გარეთელ ბიუროს:

— სოციალისტური პრესის ყურადღების მისაქცევად.

ის სწერს, რომ დაპატიმრებულ მენშევიკებს ს. დობორჯგინიძეს და ილ. გიორგაძეს სასტიკად ეპყრობიან ჩეკაში, აწამებენ მათ, რის გამო მათ სიმშილობა გამოაცხადესო.

ორივე ეს ამხანაგი დღეს ჩვენს რიგებშია.

და ისინი კატეგორიულად აცხადებენ, რომ არაფერი ასეთი არ ყოფილა.

ხომერიკი სწერს:

— ზოგიერთი ჭკუიდანაც შეიშალა, მიაქცეთ ამ საშინელებაზე სოციალისტური პრესის ყურადღება. თუ საჭიროდ და შესაძლებლად სთვლით, სრული უფლება გაქვთ ჩვენი სახელითაც იმოქმედოთო.

აი ასეთი ჭორებით უნდა ნ. ხომერიკს სახელი გაუტეხოს საბჭოთა ხელის-უფლებას.

ის ურჩევს საზღვარ-გარეთელ ბიუროს:

— იმოქმედეთ ჩვენი სახელით, თუ საჭიროდ სთვლითთო.

მაგრამ ვისი სახელით ლაპარაკობს ნ. ხომერიკი?

საქართველოს მუშათა კლასი დიდი ხანია ჩამოშორდა ხომერიკის გზას.

ეს გზა უარყო პარტიამაც.

დარჩა რამდენიმე ავანტიურისტი.

და აი ეს ავანტიურისტები დღეს ითვისებენ სხვის სახელს და მთელი პარტიის სახელით ლაპარაკობენ.

ეს საშინელი შანტაჟია.

ნ. ხომერიკი უგზავნის საზღვარ-გარეთელ ბიუროს აგრეთვე რამდენიმე ჩვენი აქტიური ამხანაგის „ბიოგრაფიულ“ ცნობებს.

თურმე ამხ. ფარნიევი, რუხაძე, თ. ჭუმბურიძე, მიკირტუმოვი, ალიხანოვი და სხვები პარტიაში უნდო პიროვნებათ ითვლებოდენ წინეთაც, ყოფილან მერყეევები და სხვა.

მაგრამ თუ ეს მართალია, რატომ ანდობდენ მათ საპასუხისმგებლო ადგილებს პარტიაში და სახელმწიფო აპარატებში?

მაგალ., ამხ. ფარნიევი იყო ცეკას, დამფუძნებელი კრების და სახ. გვარდიის მთავარ შტაბის წევრი, არა ნაკლები საპასუხისმგებლო ადგილები ეჭირა სხვებსაც.

ზოგი ამათგანი პარტიაში მუშაობის გამო ყოფილან ციხეებში, კატორღებში და ციმბირში.

თუ ათეული წლების განმავლობაში ეს ხალხი იყო ნდობით აღჭურვილი, ნუ თუ მას შემდეგ შეიქმნა მიუღებელი მათი პიროვნება, როცა ისინი დადგენ სწორ რევოლიუციონურ გზაზე?

მაგრამ როგორ მოხდა, რომ ყველა ამათ საპასუხისმგებლო ადგილები ეჭირათ პარტიაში და პარტიას გარეთ?

აგვიხსნას ეს ფრანსუა ხომერიკმა.

ვინ უნდა ამით მოატყუოს? ვის უხვევს ის ამით თვალებს?

საქართველოს მუშათა კლასს, რასაკვირველია, ვერ ეტყვის ამას, ვინაიდან ყველა ამ პირებს კარგათ იცნობენ ჩვენში და ნ. ხომერიკმა რამდენიც არ უნდა სწეროს მათ წინააღმდეგ, სულ ერთია, მას არავინ დაუჯერებს.

მაგრამ ის სწერს ამას საზღვარ-გარეთლებს. და ამით აკეთებს თავის საქმეს.

— შეხეთ, საქართველოში არაფერი მომხდარა. მხოლოდ ორიოდე უმნიშვნელო პიროვნება მოშორდა პარტიას.

ჩვენ კი განვაგრძობთ მუშაობას და...

მოგვეცით ფულებიო.

ეს ჭორი და შანტაჟი ნ. ხომერიკს ესაჭიროება, რომ უცხოეთის წყალობა მას არ მოაკლდეს.

და ჩვენ ვიცით, რომ მაშინ, როცა, მათ მიერ დაბრიყვებული და შეცდენილი მუშები საშინელ სიმშილს და გაჭირვებას განიცდიდენ, და განიცდიან, ნ. ხომერიკი და კამპანია ათასობით და ათი ათასობით სტერლინგებს და ოქროებს იღებდენ საზღვარ-გარეთიდან და ხარჯავდენ უკანტროლოთ.

მაგრამ ეს ახალი ამბავი არაა ნ. ხომერიკის ცხოვრებაში.

1908 წელს ციხეში ყოფნის დროს ის ბანქოში აგებდა მუშების მიერ შეგროვილ და ციხეში გადმოცემულ ფულებს, ხოლო ამ დროს ჩვენი ტერორისტები სახრჩობელას აჩრდილის წინაშე სიმშილით იხოცებოდენ ციხეებში.

რევოლიუციის დროს ის მიწადმოქმედების მინისტრის პოსტიდან გაძევებულ იქნა, ვინაიდან ნოე ხომერიკს ბანქოს თამაში და საყვარლებთან ქეიფი უფრო ეხერხებოდა, ვიდრე მინისტრობა.

მადლობა ღმერთს, ეს ხომ ყველამ იცის.

1921 წელს თებერვალში, როცა ქართველ მუშებს სრულიად უაზროდ აღვრევინებდნენ სისხლს წითელ არმიელებთან ბრძოლაში, ნ. ხომერიკი განსაკუთრებულ ვაგონში ცხოვრობდა შორაპანში თავის საყვარელთან ერთად.

და ასეთი ვაებატონი დღეს გამომდგარა და ლაპარაკობს იმ მუშათა კლასის სახელით, რომელმაც დიდი ხანია მოიშორა ის.

ნაცნობი.

პროფ. მოძრაობა საქართველოში მენშევიკების დროს და ახლა.

II

როგორც წინა წერილში ვსწერდით, პროფკავშირები მენშევიკების დროს არ სარგებლობდენ არავითარი უფლებით. თუმცა მათი გადაწყვეტილებანი ხდებოდა ფრაქციის სანქციით, მაინც ვერ ახწევდნენ მიზანს. კავშირებს სთვლიდენ ისეთ ორგანიზაციათ, სადაც თავს იყრიან ყველა მუშები—მტრებიც და მოყვარეებიცო. მათ გადაწყვეტილებას ჩვენ, მენშევიკები, სხვა თვალით უყურებთო. ასე გვიპასუხებდნენ ხოლმე, როცა ჩვენი გადაწყვეტილება რომელიმე საკითხზე არ მოეწონებოდათ.

ავიღოთ სატარიფო პალატა, რომელიც ჩვენ გვქონდა. რას წარმოადგენდა ის?-ის იყო შრომაზე ნიხრის დამდები კომისია, რომელიც მძიმე ლოდივით გვაწვა კისერზე მუშებს და არ გვაძლევდა საშვალებას, რომ ჩვენი შრომა მეტ ფასებში გაგვეყიდა პროფესიონალური ბრძოლის საშუალებით და მშიერი კუჭი ცოტათი მაინც გაგვეძღო. შრომა დანიხრული იყო, მაგრამ დამქირავებლები ეწეოდენ თავისუფალ სპეკულიაციას-უმნიშვნელო ხელფასით შექმნილ საქონელს ერთი ათასათ ჰყიდნენ და ამ მოგებას გარყვნილებაში და კაფე შანტანებში ფლანგავდნენ. ხოშტარიამ დიდი ზეიმი გამართა, სადაც მიიწვია ყველა ბობოლა მენშევიკები, რა თქმა უნდა მოქეიფე ბენია ჩხიკვიშვილის მეთაურობით.

პარიტეტული ქალ. შრომის ბირჟა ძველ ნიკოლოზის დროს არსებულ ხატისოვის ქ. ბირჟას მოგაგონებდათ: დამქირავებლები იქიდან ნაკლებათ იყვანდნენ მუშებს. არსებობდნენ კერძო შრომის მომძებნი „კანტორები“, სადაც შრომის მოძებნის ნაცვლად „ჯოკხალი საქონლით“ ვაჭრობდნენ, რაც არა ერთხელ აღნიშნულა კავშირების საბჭოს კრებაზე. ქ. შრომის ბირჟაში მუშები ნაკლებათ ეწერებოდნენ, რადგან დარწმუნებული იყვნენ, რომ იქ ისინი სამუშაოს ვერ იშოვნიდენ; ამიტომაც მაშინდელი სტატისტიკაც უმუშევრების შესახებ არ იყო სწორი.

პარიტეტული მომრიგებელი კამერა—ეს ერთად-ერთი ორგანო იყო, სადაც მუშათა ფრაქციას მუქარით გაჰყავდა მუშებისათვის სასარგებლო რეზოლიუციები. მაგრამ, მას შემდეგ, რაც შრომის სამინისტრომ წყალობის თვალით გადახედა ფაბრიკანტების ფრაქციას და თავისი დახმარება არ დააკლო, მომრიგებელმა კამერამაც ძალა და მნიშვნელობა დაჭკარგა: მისი გადაწყვეტილებები, თუ მუშების სასარგებლოთ იყო გამოტანილი, წლობით არ მოჭყავდათ სასრულეში; იყო შემთხვევები, რომ ორივე მხარე თანხმდებოდა, ადგენდა, მაგრამ შრომის სამინისტრო არღვევდა. უკანასკნელმა ფრთები შეასხა დამქირავებლებს, მომრიგებელი კამერა კი დაასამარა. შრომის სამინისტროში ხშირად უთქვამთ: კამერაში მუშათა ფრაქცია ბოლშევიკობს და უნდა გაირეკოსო. შრომის დაცვის საქმეც არ იყო მოგვარებული. თუმცა ბევრსაც ვლაპარაკობდით შრომის ინსპექციის შემოღებაზე, მაგრამ საქმით კი არაფერი გაგვიკეთებია. დამქირავებლები როგორც სურდათ, ისე სტანჯავდნენ მუშებს. განსაკუთრებით , სადაც ერთი და ორი მუშა მუშაობდა,-აქ მათი მდგომარეობა პირდაპირ აუტანელი იყო. დაზღვევის საქმე სრულიად უნუგეშო მდგომარეობაში იყო: დაზღვევის უფლება ჰქონდათ მხოლოდ იქ, სადაც მუშაობდა არა ნაკლებ ხუთ კაცზე, მაგრამ უმრავლესობას წარმოადგენდნენ პატარ-პატარა, ერთ-ორ მუშიანი ორგანიზაციები, რომლებიც ამიტომ კანონს გარეშე იყვნენ აღიარებული, ფულს კასაში დამქირავებლები და მუშები ერთნაირად იხდიდნენ, რის გამოც უკანასკნელნი პროტესტს აცხადებდნენ და დამზღვევ კასას გაურბოდნენ.

ეს მახინჯი კანონი თან წაიღო იმ მთავრობამ, რომელმაც უკანასკნელ გაყრის დროს ქ. ბათუმში „შერცხვენის“ მთავრობის სახელი მიიღო, იმ მთავრობამ, რომელმაც მუშათა კლასის დაუძინებელ მტრებთან გამონახა საერთო ენა და ჩვენ კლასიურ მტრებს—ევროპის იმპერიალისტებს—შეაფარა თავი, იმ მთავრობამ, რომელმაც თავისი ლამაზი სიტყვებით მოატყუა მუშათა კლასი, და რომელსაც აგვისტოში საქართველოს სოც. დემ. მუშ. პარტ. ყრილობამ შანდატი ჩამოართვა და როგორც თვით მთავრობა, ისე პარტიაც „უფლება აყრილ მოხეტიალეებათ“ გამოაცხადა.

დღეს ჩვენ სულ სხვას ვხედავთ. 12 ათასმა მუშა ხალხმა, პარტიის სულის და გულის ჩამდგმელმა, გავახილეთ თვალი; ჩვენ მოგვეგებატა 5 ათასი ახალგაზრდა მარქსისტი, გვემატებიან დღითი-დღე იმიტომ, რომ ჩვენ დავინახეთ ჩვენი თვალით ის, რომ საბჭოთა ხელისუფლებამ ჩვენ მოგვიტანა ახალი შრომის კოდექსი, რომლითაც ყველა ჩვენი უფლებები კანონის ძალით არის დაცული; დავინახეთ, რომ პროფმოძრაობა სდგას დღეს სასურველ ნიადაგზე. დღეს ყველა მუშა დარწმუნებულია, რომ პროფკავშირი მისი ორგანიზაციაა, მისი ოჯახია; ამიტომაც ის მიილტვის მისკენ თავისუფლად, თავისი ნებით, ძალდაუტანებლად, და დიდის სიამოვნებით ეწერება კავშირებში,

კ. თოფაძე.

პატარა ფელეტონი

ამონაწერი

მენშევიკური ცეკას პრეზიდიუმის სტენოგრაფიული ოქმიდან.

ფრანსუა. (გაფაციცებით ათვალიერებს ახლად მოსულ ფოსტას) ჰმ! არც ერთი სიტყვა ფულების შესახებ. თვითონ იქ მშვენივრად მოეწყვენ ვილებში და ჩვენზე კი არ ფიქრობენ.

სეითი. ნოე! დავუცადოთ ცოტა...

ფრანს. ისწავლეთ კონსპირაცია. აქ ნოე არაა. აქ არის საფრანგეთის მოქალაქე ფრანსუა.

სეითი. უკაცრავად, ფრანსუა, მოვიცადოთ ცოტა კიდევ. შეიძლება ამ კვირაში მოვიდეს ფული.

ფრანს. მოცდა შეუძლებელია. მე უკვე ვიცი რაშიაც არის საქმე.

გოგიტა. აბა რაშია?

ფრანს. ჩვენ დაგვლუპა მენშევიკების ყრილობამ. დასავლეთ ევროპის თვალში ალბად სახელი გაუტყდა ჩვენს მუშაობას, ალარავინ გვენდობა და ფულსაც არ გვიგზავნიან.

გოგიტა. ვინ იცის ჩვენს ამხანაგებს იქ დასცინიან კიდეც... აი თქვენი მენშევიკური პარტიაო!

ფრანს. აი აგერ ერთი წერილი, საიდანაც სჩანს, რომ ბენია, ნაპალეონი და სხვები აპირობენ საქართველოში დაბრუნებასო. მეც ვფიქრობ ჩვენს მუშაობას ძალიან გაუტყდა სახელი და გზავნიან მათ დაწვრილებითი ამბების გასაგებად. ამიტომაა, რომ ექვსი ათასი მანეთის გამოგზავნის შემდეგ ერთი კაპეიკიც არ გამოგვიგზავნეს.

გოგიტა. ბენიას თუ მოაქვს ჩვენთან ფულები!

ფრანს. დავიღუპეთ კაცი!.. ყველას შესჭამს გზაში და მერე მისი შენახვაც ჩვენ დაგვაწვება კისერზე.

გოგიტა. (ღიმილით) ვინ იცის, სულ ქეიფში ატარებს ეხლა დროს ბენია?.,

სეითი. კი, მარა ერთი მიხდა გავიგო: იმ ექვსი ათასი მანეთი ოქროს ანგარიშებში გვაქვს? რაში დაგვეხარჯა ეს ფული? ვერც ერთ მუშას, რომელიც ჩვენთან მუშაობის გამო იჯდა ციხეში ან იმყოფება შორეულ რუსეთში ჩვენ ვერ დავეხმარეთ. ფულები კი სადღაც უთავბოლოდ დაიხარჯა.

ფრანს. სად და რაში დაიხარჯა ეს ფული, საიდუმლოებაა. არ შეიძლება ეს ყველამ იცოდეს, ვერც აღვნიშნავთ ვერსად ამ ანგარიშებს... კონსპირაციაა საჭირო...

გოგიტა. დავანებოთ თავი მაგას... რა დროს ანგარიშებია ახლა...

ფრანს. ჩვენ ეხლა უნდა გამოვარკვიოთ თუ როგორ მოვიქცეთ. ჩვენი ყოფილი ამხანაგების ყრილობის შემდეგ მთელ ჩვენს მუშაობას დაესვა ჯვარი. ჩვენ დავრჩით გარიყული. ამიტომ არავინ არ დაგვეხმარება. საჭიროა მუშაობის გაძლიერება და ევროპის დარწმუნება, რომ სულ მოკლე ხანში, ამ ერთ თვეში მოსალოდნელია აჯანყებათქო. მივწეროთ დიპლომატიური წერილი: თუ აჯანყების საქმე ჩაიშალა, დამნაშავე თქვენ იქნებით, რადგან დროზე არ დაგვეხმარეთთქო. მოვთხოვოთ ფული და იარაღი. რაც შეეხება ყოფილ მენშევიკების ყრილობას, ამის შესახებ მე უკვე ვამზადებ საინფორმაციო წერილს. იქ მე ვწერ, რომ ჩვენში, კომუნისტების გაიძვერობის გამო, ადგილი ქონდა საშინელ უზურპაციას. არავითარ მენშევიკურ ყრილობას ადგილი არ ქონია. ბოლშევიკებმა მორეკეს ჩვენი პარტიისთვის სრულიად უცნობი ხალხი, დაარქვეს ამ კრებას მენშევიკური პარტიის ყრილობა. ალაპარაკეს ჩეკისტები და ქვეყანა მოატყუეს, თითქო მართლაც მენშევიკების ყრილობა ყოფილიყო.

სეითი. კი, მარა იქ დამსწრე ხალხს ხომ ყველა იცნობს? ფარნიევს, რუხაძეს, შენგელიას, ჭუმბურიძეს და სხვებს იცნობენ როგორც ყოფილ მენშევიკებს? აბა როგორ შეიძლება ამის დაფარვა?

ფრანს. ფარნიევის შესახებ მე ვწერ, რომ ის 1920 წლიდან ბოლშევიკი და საქართველოს გამყიდველი იყო-თქო. რუხაძეზე ვწერ, რომ ის, მართალია მუშაობდა ჩვენთან, მაგრამ სოციალდემოკრატი არასოდეს არ ყოფილათქო. შენგელიას შესახებ ვწერ, რომ ის მუდამ შორს იდგა ჩვენი პარტიიდან და სხვა...

სეითი. არა, ჩემო ფრანსუა, ეს ხრიკები ჩვენ არ გაგვივა. ამ ხალხს ყველას საპასუხისმგებლო ადგილი ეჭირა, როგორც პარტიაში, ისე სახელმწიფო ორგანოებში, იყვნენ პარტიის ნდობით აღჭურვილნი, უკანასკნელ დღემდე ითვლებოდენ პარტიის წევრებათ და ეხლა როგორ შეგვიძლია მათზე ასე ლაპარაკი?.. გარდა ამისა აქედან დიდი პროცენტი ციხეებში და კატორღებში გავლილი ხალხია...

ფრანს. ევროპაში აბა ვინ იცნობს მაგათ? იქ ჩვენს ინფორმაციას უფრო დაუჯერებენ, ვიდრე კომუნისტებისას. რაც შეეხება: აქაურ მუშებს, იმათ რაც უნდათ, ის იფიქრონ. ჩვენთვის ეს სულ ერთია. ჩვენ გვინდა მხოლოდ ევროპის ყურადღება, პუანკარეს ლოცვა-კურთხევა, ინგლისის სიმპატია, პოლონეთის დახმარება და სხვა... აი ჩვენები რომ ივარგებდენ და პოლონეთთან საქმეს გააკეთებდენ, ეს კი კარგი იქნებოდა. მე ვწერ მათ აგრეთვე, რომ პოლონეთი წაკიდონ რუსეთს. იქ არიან რუსეთელი თეთრგვარდიელები, რომლებიც ამ საქმეში გაგვიწევენ დიდ დახმარებას.

გოგიტა. მე მგონია, ეს წინადადება მისაღებია და ამით გავათავოთ დღევანდელი ჩვენი სხდომა.

(სხდომა იშლება. ფრანსუას ავალებენ გაუგზავნოს ევროპას სწორი ინფორმაცია და მოსთხოვოს ფულები).

დემონი.

ინტელიგენცია და საბჭოთა ხელისუფლება.

მოსკოვში ახლახან დასრულდა ყრილობა რუსეთის მეცნიერთა წარმომადგენლებისა. ამ ფაქტს ღრმა მნიშვნელობა აქვს. მეცნიერები ეკუთვნიან ინტელიგენციის უმაღლეს ფენას, ხოლო ინტელიგენცია კი ერთი აქტიური მებრძოლი იყო საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ. იმ თავითვე ინტელიგენციამ მტრული დამოკიდებულება დაიჭირა ოქტომბრის რევოლიუციასთან. იმ დროს, როდესაც რუსეთის მუშათა კლასი სისხლიდან იცლებოდა შინაური კონტრ-რევოლიუციის წინააღმდეგ ბრძოლაში და ანტანტის ინტერვენციიდან გამოსავლად ითავისუფლებდა თავს, ამ დროს ინტელიგენცია ზურგში მახვილს სცემდა, საბოტაჟისა და ხელის შეშლის პოლიტიკას აწარმოებდა.

თუ ინტელიგენცია რეაქციის დროს რევოლიუციის მომხრედაც კი გამოდიოდა, ოქტომბრის რევოლიუციის შემდეგ, როდესაც ძირბუდიანად შეირყა საზოგადოებრივი ცხოვრების სტრუქტურა, როდესაც პოლიტიკური ცხოვრების მესაჭედ გამოვიდა მუშათა კლასი, ინტელიგენციამ იგრძნო, რომ მისი მდგომარეობა უნდა შეცვლილიყო, რომ ინტელიგენციის დანიშნულება ეხლა უკვე აღარ იქნებოდა ის, რაც იყო წინად, არამედ მას მოუხდებოდა გამარჯვებული მუშათა კლასის დამხმარე ძალათ გამოსვლა, რომ მისი მატერიალური მდგომარეობა ვერ იქნებოდა ისე უზრუნველყოფილი, როგორც წინად. ამიტომ ინტელიგენცია შეეცადა თავისი ძალღონე მიემართა კონტრ-რევოლიუციის გასამარჯვებლად, რომელიც მას დაუბრუნებდა წინანდელ მდგომარეობას.

ამ დროს, როდესაც რუსეთის, ჯერ საერთაშორისო ომით ხოლო შემდეგ სამოქალაქო ომით დანგრეულ მეურნეობის აღსადგენად არ იყო საკმაო ტეხნიკური და პროფესიონალური ცოდნას მოკლებული რუსეთის მუშათა კლასის ძალღონე, არამედ საჭირო იყო ინტელიგენციის, როგორც გონებრივად მომუშავე და მაღალ მეცნიერთა თავდადებული შრომა სამეურნეო და კულტურულ ფრონტზე, რათა გაეადვილებია ერთის მხრივ ის გმირული ბრძოლა, რომელსაც რუსეთის მუშა კლასი ეწეოდა ძველი ცხოვრების აღმოსაფხვრელად, ხოლო მეორეს მხრივ ის აურაცხელი ბუნებრივი სიმდიდრე, რომელსაც რუსეთი იტევდა მიზანშეწონილად გამოეყენებია და მით დაცემული მეურნეობა ფეხზე აღედგინა; რუსეთის ინტელიგენციამ ამ თავისი წმინდა მოვალეობის შესრულების მაგივრად მშრომელი ხალხის წინაშე, ამჯობინა განზე დგომა და პირიქით, რამდენადაც შეეძლო ხელს უშლიდა. რევოლიუციამ თავისი მხრივ ძლიერი მკაცრი დამოკიდებულება დაიჭირა ინტელიგენციის მიმართ და მრავალი უმიზნო მსხვერპლი შეიწირა ამ უაზრო ჯიუტობამ. ბოლოს ცხოვრების ლოღიკამ თავისი გაიტანა და დღეს აბსოლიუტური უმრავლესობა რუსეთის მრავალფეროვან ინტელიგენციისა თავ აუღებლივი მუშაობაშია ჩაბმული და ხელი-ხელ გაყრილი მუშათა კლასთან საძირკველს უყრიან მომავალ სოციალისტურ საზოგადოებას.

ინტელიგენცია, როგორც სოციალური კატეგორია არ არის თავის თავად ერთფეროვანი მოვლენა და ამდენად მასში ყოველთვის არსებობს აზრთა სხვადასხვაობა, რომელიც ამ ჟამად ჩვენთვის საყურადღებოა იმის გამოსარკვევად, თუ რომელი ფენა, რომელი ნაწილი უფრო ახლო იყო პროლეტარიატთან და რითი უნდა აიხსნას ის გარემოება, რომ ეს ხალხი, რომელიც გონებრივად მუშაობდა და ორგანიულად გაურბოდა ფიზიკურ შრომას, მაინც მიიღო და იწამა, რომ მისი გამარჯვება შეუძლებელია გარეშე პროლეტარიატის გამარჯვებისა.

ინტელიგენციის მშრომელი ნაწილი, რომელიც თავისი საკუთარი ძალღონით ირჩენდა თავს, დარწმუნდა, რომ ქრონიკული გაჭირვებისაგან, იმ ათასი დაბრკოლებისაგან, რომელიც ცხოვრებაში ხვდება ყოველი ინტელიგენტს, მას უზრუნველყოფს მუშათა კლასის საბოლოო გამარჯვება. ამიტომ დღეს აქტიური მომუშავეა.

მშრომელი ინტელიგენცია თავისთავად მუდამ დამოუკიდებელი იყო საზოგადოების ფართო მასების კულტურული და ქონებრივ მდგომარეობაზე. ამიტომ იგი ერთგვარი დემოკრატიული იდეალითაც იყო გამსჭვალული, მისთვის სასარგებლო იყო თუ მის შრომას მეტი დამფასებელი ეყოლებოდა, მისი შემოქმედებას თუ მეტი პატივისმცემელი გაუჩნდებოდა, მას უნდოდა მისი წიგნის წამკითხველი და შემძენელი მეტი ყოფილიყო, ეს კი შეიძლება მაშინ, თუ საზოგადოების ფართო ნაწილის ქონებრივი და საარსებო პირობათა დონე მაღლა აიწევდა. ამიტომ ბუნებრივად ჯერ კიდევ ადრე ოქტომბრის რევოლიუციამდე ინტელიგენციის ბედი გადაეჭდო მშრომელთა ბედს და დღევანდელი დამეგობრება პროლეტარიატისა და ინტელიგენციისა სრული ლოლიკური შედეგია იმ მდგომარეობისა, რომელშიც ობიექტიურად ჩაყენებული იყო ინტელიგენციის ერთი დიდი ნაწილი, მშრომელი ინტელიგენცია.

რასაკვირველია ინტელიგენციას არ ქონდა ისე კარგად შეგნებული ცხოვრების პირობების გასაუმჯობესებელი საშვალებანი, როგორც მუშათა კლასს. კლასმა დიდი ხანია შეიგნო ძალა ერთობაშია, რომ შეერთებული ძალღონით შესაძლებელია გაცილებით უფრო ადვილად და მალე მიაღწიოს მიზანს—ინტელიგენცია სულ უკანასკნელ ხანამდე დაავადმყოფებული იყო ინდივიდუალიზმით—იგი საკუთარი ძალღონით გამოდიოდა ცხოვრების ასპარეზზე და თავისი ძალის ამარა იბრძოდა პიროდი კარიერისათვის.

მაგრამ ასეთი თუ იყო ინტელიგენციის ბუნება ისტორიულად, საერთაშორისო ომმა და რევოლიუციონური ეპოქის დაწყებამ მოახდინა შესაფერისი გარდატეხა. ინტელიგენციაც ახალ გზაზე შედგა.

ხანგრძლივი კრიზისი კაპიტალიზმისა, სულ უფრო და უფრო მეტი პროლეტარიზაცია ინტელიგენციისა, თანდათანი გართულება საარსებო საშვალებათა მოპოვებისა, ყველა ამან ხელი შეუწყო ინტელიგენციას რომ, ამოდგომოდა გვერდში მებრძოლ პროლეტარიატს და მისი ბედი გადაეჭდო უკანასკნელის ბედთან. სრულიად არ არის გასაკვირი ის მოვლენა, რომელიც 1920 წელს იტალიაში ქონდა, სადაც სიღარიბე და პროლეტარიზაცია ინტელიგენციისა კულმინაციურ წერტილამდე ავიდა.

იმ მომენტში, როდესაც მუშებმა ხელთ ჩაიგდეს ფაბრიკა-ქარხნები, ტეხნიკური პერსონალი, რომელიც მკვიდრი ძმაა ინტელიგენციის, ბევრ ადგილას მუშათა მხარეზე გადავიდა.

ინტლიგენციაში არის მეორე პრივილეგიური ფენა, რომელიც ასე ადვილად ვერ სცილდება ძირმომპალ საზოგადოებას და უკანასკნელ ძალღონეს იჩენს ისტორიულად განწირული საზოგადოების გადასარჩენად. ეს არის ის ნაწილი ინტელიგენციისა, რომელიც ბურჟუაზიის აპოლოგეტი და იდეოლოგიის მოვალეობას ასრულებს. მთელი მისი მუშაობა მიმართული იყო და არის იქითკენ, რათა გაუადვილოს ბურჟუაზიას პროლეტარიატზე ბატონობა. იგი ყიდდა თავისი სულის ნაწილს გაბატონებული კლასების სამსახურისათვის. ფსიქოლოგიურად ეს ნაწილი ინტელიგენციისა ბურჟუაზიულ სახელმწიფოში მსახურის როლს ასრულებს და, ცხადია, განებივრებული ხალხისათვის ძნელი შესარიგებელია ბურჟუაზიული საზოგადოებიდან დაცილება, ვინაიდან ეს პირდაპირ მათი პირადი მდგომარეობას ემუქრება.

მიუხედავად იმ მჭიდრო კავშირისა, რომელიც ამ მაღალფენებსა და გაბატონებულ კლასებს შორის არსებობდა, მდგომარეობა აქაც შეიცვალა და ამის უტყუარი დამამტკიცებელია რუსეთის მეცნიერთა ყრილობა.

დღეს, როდესაც რუსეთმა მოიცილა ანტანტის ხელი მის ყელში დასახჩობად გაწვდილი, დღეს, როდესაც ეკონომიური აღმშენებლობისაკენ არის მიქცეული მთელი ყურადღება, ასეთ პირობებში მით უმეტეს ძვირფასია რუსეთის მეცნიერთა მოსვლა მუშათა კლასის დასახმარებლად და ხელის შესაწყობათ,

რა აკლია რუსეთს დღეს? რა იხსნის მას დღეს იმ კრიზისისაგან, რომელსაც ასე ფართოდ გაუშლია ფრთები და ლამობს გაანადგუროს რუსეთის მუშათა კლასის სისხლით მონაპოვარი?

რუსეთი ჩამორჩენილი ქვეყანაა—ხალხის უმრავლესობა მოკლებულია ტეხნიკურ და პროფესიონალურ ცოდნას და ამ მხრივ საბჭოთა ხელისუფლების წინაშე გრანდიოზული ამოცანაა შესასრულებელი—ეს ამოცანა მდგომარეობს ხალხის გონებრივ და სულიერი დონის აწევაში, ამისათვის სუბიქტიური პირობები მეტად ხელის შემწყობია. თუ წინათ რუსი გლეხი ხასიათდებოდა მშვიდი და წყნარი ხასიათის მატარებლად, დღეს მასში გაიღვიძა კრიტიკამ, აქტივობამ და კულტურულმა შემოქმედებამ და ეს გარდატეხა ძლიერი ფაქტორია იმისათვის, რომ რუსეთის ხალხმა უფრო ადვილად შეითვისა ვინემ წინად ის, რაც მას ესაჭიროება, რათა იხსნას თავი განადგურებიდან და გადაშენებიდან.

ამ დროს რუსეთის ინტელიგენციის მისვლა ხალხთან ზედმიწევნით დროულია და შედეგიც უეჭველად გრანდიოზული ექნება.

ა. კა—ძე.

სოციალ-კაციფიზმი თუ მარქსიზმი.

5 სექტემბერს საქართველოს მენშევიკურ არალეგალურ „ცეკას“ მოუწვევია ე. წ. ედ-წოდებული „პარტიული კონფერენცია“.

სასაცილო და მეტად საკვირველი ამბები ხდება!..

საქართველოს ს.-დემოკრატიამ, რომელმაც 28 აგვისტოს დაგმო ძველი ტაქტიკა, აიღო ახალი გეზი და მით მოახდინა თავისი საკუთარი პარტიის თვითლიკვიდაცია,—აი ამ დროს, მენშევიკური არალეგალური ცეკა- იწვევს „კონფერენციას“, რომელსაც თურმე სურს ილაპარაკოს აგრეთვე მუშათა კლასის და პროლეტარული დემოკრატიის სახელით.

განა ამაზე მეტი სასაცილო ამბავი და პოლიტიკური თავხედობა გაგონილა? ნუ თუ არალეგალური მენშევიკური ცეკას უფლება აქვს ილაპარაკოს პროლეტარიატის სახელით?

ნუ თუ მათ მიერ მოწვეულ „კონფერენციას“ შეიძლება ჰქონდეს რაიმე რეალური ღირებულება იმ დროს, როდესაც 12 ათასმა რევოლიუციონურად განწყობილმა მუშა-გლეხობამ თვის მიერ მოწვეულ ყრილობაზედ დაგმო მენშევიზმი და გაიმიჯნა ძველ ნაციონალისტურ-კაპიტალისტური პოზიციისაგან?

რასაკვირველია არა.

რას ლაპარაკობს არალეგალური ცეკა თვის მიერ მიღებულ რეზოლიუციებში? როგორია მათი პოლიტიკის და ტაქტიკის მთავარი დედა-აზრი?

საქართველოს არალეგალური მენშევიკური ცეკა კვლავ ადასტურებს 10 აპრილში მიღებულ ფორმულას „დემოკრატიზმით სოციალიზმისაკენ“ და აღიარებს, რომ ამ ფორმულის აზრი არ არის ის, რომ ნებსით თუ უნებლიეთ ნიადაგი მოუმზადდეს რეაქციასო.

რას ნიშნავს ეს?

ნუ თუ მართლაც არალეგალური მენშევიკური ცეკა, აი აქ ფაქტიურად იცავს იმ დემოკრატიზმს და იმ სახელმწიფოებრივ სისტემას, რომელიც მთელი თავისი არსით მიმართულია რეაქციის და ყოველგვარ ხასიათის კონტრრევოლიუციის აღმოსაფხვრელად? ნუ თუ ის იმიჯნება ბურჟუაზიული დემოკრატიზმისაგან, რომელიც წარმოადგენს იარაღს იმპერიალისტური ტენდენციის განვითარებისას და მის ნაცვლად იცავს იმ პროლეტარულ დემოკრატიზმს, რომელიც, პირიქით, ცეცხლით და მახვილით იბრძვის რეაქციის სასიკვდილოდ განადგურებისათვის?

რასაკვირველია არა.

მსოფლიო მეომარი იმპერიალიზმი, რომელიც ჰპოებს თვისი განვითარების უკიდურეს სახეს ფაშიზმში და იბრძვის კაპიტალიზმის გამაგრების და ბურჟუაზიულ-დემოკრატიზმის საბოლოო განმტკიცებისათვის, ამავე დროს საქართველოს მენშევიკური ცეკაც, რომელიც თავის პოლიტიკურ თანამოაზრეებითურთ მომაკვდავ ბურჟუაზიასავით ისტერიულად ვაიმაბის ამავე, უკვე, დრო-მოჭმულ ლოზუნგს „უკან კაპიტალიზმისაკენ“ და ამდენად, ფაქტიურად მოგვიწოდებს იმპერიალიზმთან, კლასიური თანამშრომლობის წარმოებისაკენ. აი ასეთ პირობებში აქვს რაიმე ღირებულება იმ დემოკრა-

ტიას, რომელზედაც აქ მენშევიკური არალეგალური ცეკა ლაპარაკობს?

ნუ თუ, როდესაც მენშევიკური ცეკა იცავს კაპიტალიზმის ალორძინებას და მის განხორციელების მიმართულებით სათანადო პრაქტიკულ ნაბიჯსაც სდგამს, აი ამ დროს შესაძლებელია აღიარება **იმეთ დემოკრატიისა**, რომელიც რეაქციის არა განვითარების, არამედ მის აღმოფხვრის წინააღმდეგ, რომ იყვეს მიმართული?

რასაკვირველია არა.

არალეგალური მენშევიკური ცეკა იცავს ბურჟუაზიულ-დემოკრატიზმს იმ პროლეტარული დემოკრატიზმის საწინააღმდეგოდ, რომელიც თავისი შინაარსის მხრივ მდგომარეობს შრომის კაპიტალზედ ბატონობაში, როგორც ეკონომიურად ისე სოციალ-პოლიტიკურად. და აი ამდენად, რამდენად ის თანამედროვე კონკრეტიულ სინამდვილეში სდგას საერთაშორისო ბურჟუაზიულ-დემოკრატიზმის პლატფორმის ნიადაგზედ,—მას ფაქტიურად ვერ ძალუძს იმპერიალიზმის და რეაქციის წინააღმდეგ აწარმოვოს ბრძოლა, **რადგან დღეს კაპიტალიზმის აღიარება ეს უთუოდ იმპერიალიზმის აღიარების მომასწავებელიც არის.**

ახლა ვეკითხებით არალეგალურ მენშევიკურ ცეკას, თუ კი ასეთი რამ ამ ჟამად მართლაც არსებობს, რას ნიშნავს ეს?

2-ე ინტერნაციონალი, რომელიც თავის „მოქმედების პროგრამას“ და ტაქტიკას იმპერიალიზმის მსგავსად კაპიტალისტურ ორგანიზმის განმტკიცება-განვითარებისაკენ მიმართავს,—განა აქვს რაიმე სადავო მასთან და ამდენად კი შესაძლებელია 2-ე ინტერნაციონალის დემოკრატია გარდაიქცეს იარაღად რეაქციის და კონტრ-რევოლიუციის წინააღმდეგ საბრძოლველად?

რასაკვირველია არა.

მაშ რომელ დემოკრატიაზე ლაპარაკობს არალეგალური ცეკა, როდესაც ის დემოკრატიზმს რეაქციის და ფაშიზმის მოსპობის იარაღად იმჩნევს?

პროლეტარულ-დემოკრატიაზე, რომელიც პროლეტარიატის დიქტატურას გულისხმობს და რომელიც **ერთად-ერთი** გზაა რეაქციის და საერთაშორისო იმპერიალიზმის აღმოსაფხვრელად?

რასაკვირველია არა.

არალეგალური მენშევიკური ცეკა პროლეტარიატის დიქტატურას უარყოფს და ის ამ შემთხვევაში ბურჟუაზიული აპოლოგეტია სოციალისტურ მანტიაში გახვეული.

მენშევიკური არალეგალური ცეკა იცავს არა პროლეტარულ, არამედ ბურჟუაზიულ დემოკრატიზმს.

მაგრამ, როდესაც ის სიტყვით იბრძვის რეაქციის წინააღმდეგ, მხოლოდ ფაქტიურად იმავე დროს კი კიპიტალიზმს იცავს პარლამენტარიზმ-ბურჟუაზიულ-დემოკრატიზმთან ერთად,—ეს კი წმინდა წყლის სოციალ-შოვინიზმია, პირწავარდნილი სოციალ-იმპერიალიზმია. სიტყვით სოციალიზმი, მხოლოდ საქმით კი შოვინიზმი და იმპერიალიზმი.

ასე რომ არალეგალური მენშევიკური ცეკის და 2-ე ინტერნაციონალის პოზიცია ეს არა ბრძოლაა იმპერიალიზმთან, არამედ მასთან შერიგება და შეთანხმებაა კლასიური სოლიდარობის და ბურჟუაზიულ-დემოკრატიზმის ნიადაგზედ.

და აი ამას, მენშევიკური ცეკა კიდეც პირნათლად ემსახურება.

რას ნიშნავს მენშევიკური არალეგალური ცეკის ბოლშევიზმის წინააღმდეგ იმპერიალისტური ინტერვენციის და შეიარაღებულ აჯანყების ტაქტიკით ბრძოლა, თუ არა ბურჟუაზიულ-**დემოკრატიზმის** ნიადაგზედ რეაქციის და კონტრ-რევოლიუციასთან კლასიურ თანამშრომლობას და მით კაპიტალისტური ფრონტის გამაგრებას?

და ასე, რომ გაუკეთოთ ყოველივე ზემონათქვამს დასკვნა უნდა ვაღიაროთ: რომ მენშევიკური არალეგალური ცეკა იცავს კაპიტალიზმს, იცავს ბურჟუაზიულ-დემოკრატიზმს და მის პოლიტიკურ ფორმას პარლამენტარიზმს, რომელიც თანამედროვე პირობებში წარმოადგენენ არა იარაღს რეაქციის წინააღმდეგ საბრძოლველად, არამედ, პირიქით, წარმოადგენენ გზას და საშუალებას თვით ამ რეაქციონურ მოძრაობათა განვითარების და იმპერიალისტური დიქტატურის განმტკიცებისას.

ამრიგად, საქართველოს არალეგალური მენშევიკური ცეკა 2-ე ოპორტიუნისტურ, ნაციონალისტურ ინტერნაციონალთან ერთად სდგას არა რევოლიუციონური მარქსიზმის, არამედ სოციალ-პაციფიზმის ნიადაგზედ.

შ. ანდღულაძე.

პროლეტარული პოეტი.

2 დეკემბერს თბილისის სახაზინო თეატრში ზეიმობდა მუშათა შეკავშირებული ინტერნაციონალი. ამ დღეს ხსენებულ თეატრში გადახდილ იქნა ამიერ-კავკასიის პროლეტარიატის სახელოვან მწერალ-პოეტ აკოფ აკოფიანის 30-წლის სამწერლო და რევოლიუციონურ ასპარეზზე მოღვაწეობის დღესასწაული.

ვინაა აკოფ აკოფიანი?

იგი არის არა „ლამაზ თვალების, მარმარილოს ყელის ან ვარდის—სევდის ბაღის პოეტი“, არამედ მომღერალი პოეტი ზინდანჩაქუჩისა, ქარხნის ჩარხისა და შრომის გახურებულ ქურისა... ჯერ ძველ რეაქციის დროიდან დაწყებული, 30 წლის განმავლობაში მას უმღერნია მუშათა კლასის განთავისუფლების სიმღერები და აი დღეს კიდეც მოხდა, სინამდვილედ გადაიქცა და მუშათა კლასს აგერ აქვს მუშათა დიქტატურა, რომლის წითელ დროშის ქვეშაც მოხდა მისი დღევანდელი იუბილეა... აკოფ აკოფიანს თუმცა უწერია, უმღერნია სომხურს, ერთ ეროვნების ენაზე, მაგრამ თვით ეკუთვნის განურჩევლად ეროვნებისა ამიერ-კავკასიის მთელს პროლეტარიატს, ვინაიდან იგი მღეროდა, ქადაგობდა ეროვნულ სოლიდარობაზე და შეკავშირებულ მძლავრ ერთობაზე. და რომ ეს ასეა, დამტკიცდა სწორედ დღესასწაულზე. ვინ დაესწრო ამ დღის ზეიმს? ქართველი, სომეხი, თათარი, რუსი, მუშები და მშრომელი ხალხი ყველა ერებისა. ასე მწყობრად, ჩატარდა 30 წლის დაუღალავი მუშაობა იმ ამხანაგისა, რომელიც გარდა მწერლობისა აქტიურ მონაწილეობას რევოლიუციონურ ბრძოლაშიაც ღებულობდა. მე მახსოვს 1912 და სხვა წლებში, როდესაც სტამბაში მუშაობის დროს საჩქაროდ გვჭირდებოდა ხოლმე რომელიმე ფურცლის—პროკლამაციის გადათარგმნა, ვიცოდით ამხ. აკოფას მისამართი და კიდეც მივმართავდით და საჩქაროდვე მივიღებდით პასუხს და დარიგებებსაც.

ამხ. აკოფიანის ნაწერები იმდენად მარტივი და გასაგებ ენითაა დაწერილი, რომ ერთი სიტყვაც კი არ რჩება გაუგებარი თუ გინდ სულ ახლად დამწყებ მკითხველისათვის. გასაგები ენა და მუშურ ცხოვრების სინამდვილიდან აღებული მასალა—აი მთავარი მიზეზი იმ ღრმა სიყვარულისა, რომელიც მოპოებული აქვს ამხ. აკოფიანს ამიერ-კავკასიის პროლეტარიატში.

სალამი მუშურ პოეტს.

ვუსურვებთ მას ხანგრძლივ მუშაობას.

ძველი მუშა.

რღვევა დიდი ხანია დაიწყო.

საქართველოში სოც.-დემოკრატიულ მუშათა პარტიის დაშლა—ეს. დღევანდელი საქმე არ არის. ამ პარტიის რღვევა დაიწყო 1912 წლიდან. ამ დროს მას გადაუდგა რვა მუშის სახით საკმაო რიცხვი მუშებისა. ამ მუშებმა ხმა აღიმაღლეს პარტიული ინტელიგენტების წინააღმდეგ; ეს მუშათა ოპოზიცია არ გამქრალა მაშინაც კი, როცა 1917 წელში რევოლიუციის ქარ-ცეცხლი მოედო მთელ რუსეთს. ეს ოპოზიცია განაგრძობდა არსებობას, ჰქონდა თავისი ორგანო ჯერ „პირველი ნაბიჯი“ და მერე „პროლეტარი“. ამ ჟურნალის გარშემო იყრიდა თავს მოწინავე მუშების საკმაო რიცხვი. 1919 წელში პარტიას გამოეყო ერთი ჯგუფი დ. ხარტიშვილის მეთაურობით, რომელმაც, როგორც ხარატიშვილის განცხადებიდან სჩანდა, დაირქვა სახელად „დამოუკიდებელი მუშათა პარტია“. ამავე წელში ამ პარტიას გამოეთიშა კარგი მაგარი ძალა სხიველების სახით; ამ ოპოზიციას გაჰყვა დამფუძნებელი კრების 12 წევრი. მათ დაარსეს თავისი ორგანო „ახალი სხივი“. ამ რღვევის დროს საქართველოს წამოეწია გასაბჭოება. ამ მდგომარეობამ სრულებით მოშალა მენშევიკების აპარატი. ყველა პატიოსანი მუშა, ვინც კი თვალებს განგებ არ ხუჭავდა, ხედავდა, რომ საბჭოთა ხელისუფლება ეს ნამდვილი მუშათა საქმის მკეთებელი მთავრობა არის. მას ამ წყობილების წინააღმდეგ ბრძოლის სურვილი აღარა აქვს. ეს დამტკიცდა იმით, რომ 26 მაისის გაფიცვები მთელ საქართველოში სამარცხვინოდ ჩატარდა. ამ გამოძახილს არ გამოეხმაურნენ მუშები. ამის შემდეგ აშკარა შეიქნა, რომ პატიოსანი მუშები „მენშევიკებს“ აღარ მისდევდა. მენშევიკების ც. კ. მეტი რაღა დარჩენოდა, თუ არა ყაჩაღებთან კავშირის დაჭერა. ასეც მოიქცნენ და თავი ისახელეს ჩოლოყაშვილის, ფავლენიშვილის და სხვა ბანდების მოქმედებაში. ამის შემდეგ საქართველოს მუშათა კლასი აშკარად დარწმუნდა მენშევიკების მოღალატეობაში და იმანაც პირი იბრუნა მისგან. ს. ს. დ. მუშათა პარტია დაშლილად გამოა-

ცხადეს. აგვისტოს ყრილობის შემდეგ მენშევიკები აღარ არსებობენ, მათ ჩამოშორდა მთელი სასიცოცხლო ძალა და გადავიდა მესამე კომინტერნის მხარეზე.

კ. თ.

უკრაინაც ახალი გზას ადგება.

„ნამდვილი, ობიექტიური კონტრ-რევოლიუციონერობა და პოლიტიკური დასუსტება მსოფლიო მენშევიზმისა თვალსაჩინოდ გამოიხატება გერმანიის მაგალითზე“.

უკრაინის ყოფილ მენშევიკების პარტიის წევრთა დეკლარაცია.

უკრაინის სოციალ-დემოკრატიის ხმამ, რომლებმაც დაინახეს მეორე ინტერნაციონალის „ობიექტიური კონტრ-რევოლიუციონერობა“ მოაღწია ჩვენამდე. ჩვენი ჟურნალის ერთ-ერთ ნომერში მოთავსებული იყო საინიციატივო ჯგუფის დეკლარაცია, რომელიც მოუწოდებს წევრებს სოციალ-დემოკრატიისას, რომ შემოკრბენ მის გარშემო და დადგნენ მე-III ინტერნაციონალის დროშის ქვეშ.

ეს დეკლარაცია ერთ-ერთი ისტორიული დოკუმენტია, რომელიც წარმოშვა სოციალ-დემოკრატიის მიერ მშრომელი ხალხის ღალატმა.

დღეს საანბანო ჭეშმარიტებათ იქცა, რომ მენშევიზმმა დაჭკარგა თავისი ძველი რევოლიუციონური სახე და ამიტომ მას აღარ შეუძლია დაიტიოს თავის ფარგლებში რევოლიუციონერები. მუშები გარბიან მათგან, მუშები აღარ მიყვებიან პარტიის ლიდერებს. ასე ხდება ჩვენში, უკრაინაში, მოხდა რუსეთში, ხდებოდა და ხდება გერმანეთში.

გერმანეთი ხომ ჩარჩოა სოციალ-დემოკრატიის სიკვდილის ან სიცოცხლის, როგორც ბურჟუაზიის მონის. შტრეზემანის ხელებთან ერთად ჰილფერდინგის ხელებიც დათხუპნულია მუშათა სისხლით, შეიდემანი და ნოსკე უფრო მეტი საშიში მტერი არის მუშების, ვიდრე კარი ან ჰიტლერი და ლიუდენდორფი.

ამ უკანასკნელებს მუშები გარკვეულად იცნობენ და უარყოფენ, მაგრამ პირველებს ზოგი მუშა შეცდომაში შეყავს თავისი ფრაზეოლოგიით და აბამს მას ბურჟუაზიის უღელში, რომლითაც თვითონ ისეირნებს კიდევ ცოტა ხნობით.

დაცემა უსაზღვროა, ღალატი უპატიებელი, დანაშაული გამოუსყიდველი.

შეიძლება მუშათა კლასის ნაწილი ბოლომდე მიყვეს ამ ფერხულში ბელადებს? უნდა ვთქვათ' რომ არა. მუშები მასიურად გარბიან პარტიისაგან, ისინი ერთად-ერთ ძალას ხედავენ კომუნისტურ პარტიაში, რომლის სიტყვას სოციალისტურს და რევოლიუციონურს თან ახლავს საქმეც სოციალისტური და რევოლიუციონური.

უკრაინელი ამხანაგი მუშები უკვე უდგებიან დიდ საქმეს, საქმეს, რომელმაც უნდა მოსპოს მეორე ინტერნაციონალის ძალა და გაამაგროს მე-III ინტერნაციონალის მებრძოლი რაზმები.

დეე დაინახონ მტრებმა, რომ მუშათა კლასი ბოლოს მაინც თავისი ინტერესების დამცველს მიაგნებს, რაც საფლავს გაუთხრის დამპალ ბურჟუაზიულ რეჟიმს.

კანი.

საქ. ეროვნული დემ. მთავრობა და მის ირგვლივ უკმაყოფილებანი თვით სოც.-დემ. პარტიაში.

(მოგონებანი)

V

1920 წლის უკანასკნელ თვეებში საქართველოს სოც.-დემოკრატიულ პარტიაში დატრიალდა საშინელი და საბედისწერო ამბები. ეს პარტია, რომელიც წინეთ ითვლებოდა მთლიან, კომპაქტიურ პარტიათ, დადგა რღვევის გზაზე.

„სხიველების“ გამოსვლა იყო დასაწყისი ამ პარტიის რღვევის. მომავალი ისტორიკოსი ალბად იტყვის, რომ ამ პარტიის ლიკვიდაციის პროცესი დაიწყო გაცილებით ადრე, საქართველოს გასაბჭოებამდე, როცა ერთი მოზრდილი ნაწილი ჩამოშორდა მას.

„ახალი სხივის“ № 2, 9 იანვარს 1921 წ. ჩვენ ვკითხულობთ ამ პარტიის ნგრევის მიზეზებს.

— „სხვა და სხვა რაიონებში, პარტიულ კოლექტივებში, თვით ცენტრალურ კომიტეტშიც ხშირად, და ბოლო დროს კი უფრო და უფრო დაჟინებით, გვესმის ჩვენ უკმაყოფილო განცხადებები იმის შესახებ, რომ ჩვენ პარტიას თან და თან შორდება მუშათა მასსა.

ოფიციალურად, ფორმალურად რჩება თითქოს იგივე რიცხვი პარტიის წევრებისა, მაგრამ პარტიული საქმიანობა—აქტივობა, პარტიული მოვალეობის ასრულება, საწევრო ფულის გადახდა, ორგანიზაციული მუშაობა სრულიად გაქრა; და დიდი ენერგია სჭირიათ პარტიის ოფიციალ პირებს, რომ მორიგი ან საგანგებო სხდომები მოაწყონ.

და ამ მხრივ არ არის განსხვავება ცენტრსა და პერიფერიას შორის, იქაც იგივე პასივობა, გულგრილობა, ორგანიზაციების თან და თანი დაშლა.

სახელმწიფომ შთანთქა პარტია და მუშათა კლასი ვერ ხედავს პარტიულ ორგანოებში თავის ინტერესების დამცველ აპარატს. ეგ მოხელეების, „ჩინოვნიკების“ ორგანოებია, ამბობენ მუშები. და სამწუხაროა ის არის, რომ ასე მსჯელობენ არა გუშინდელი გასოციალისტებული ხალხი, არამედ ძველი პარტიული ამხანაგები, ხანგრძლივ ბრძოლაში გამოწვრთნილნი.

პარტიული ორგანოები, ცენტრიდან დაწყებული სამაზრო და რაიონულ კომიტეტებთან ერთად, თითქმის მთელ თავის დროს ანდომებენ ადმინისტრატიულ საქმეებს, მოხელეთა ადგილების განაწილებას, კომისრების, მილიციის უფროსების და სხვა და სხვა ხარისხის რწმუნებულთა დანიშვნას.

მუშათა კლასის მოწინავე რაზმი დიდი ხანია ამას გრძნობს და ოპოზიციონურად არის განწყობილი. ეძებს მიზეზებს და უკვე ჩამოყალიბდა მისი აზრი,—იგი ხედავს, რომ პარტია ასცდა ძველ, ნაცად კლასობრივ გზას და გადიქცა სახელმწიფოს, ან უკეთ რომ ვსთქვათ, აღმასრულებელი ხელისუფლების აპარატად. და შემთხვევითი არ არის ის მოვლენა, რომ შინაგან საქმეთა მინისტრი პარტიის შინაგან საქმეთა მინისტრიცაა, ე. ი. ცეკას ფაქტიური თავმჯდომარე.

„ახალი სხივის“ ჯგუფმა ჯერ დამფუძნებელ კრების ფრაქციაში და შემდეგ საჯაროდ, გაზეთის საშუალებით, დღიდან თავის ამოქმედებისა მიზნათ დაისახა სწორეთ ახალი სხივი შეიტანოს ჩვენს პარტიულ ცხოვრებაში, დაუბრუნოს პარტია თავის საქმეს, მოხელეთა კორპორაციის ნაცვლად აამოძრავოს მუშათა სოც.-დემოკრატიული ორგანიზაცია.

ჩვენ გვისაყვედურებენ, რომ ჩვენი შეხედულება არაფერით არ განირჩევა „ერთობა“—„ბორბა“-ს ჯგუფის პრინციპიალურ ხაზისაგან.

მართალია ეს.

მართალია, თუ პრინციპად მივიჩნევთ ქაღალდს და მაზე აწყობილ ასოებს, იმ წიგნაკს, სადაც ჩვენი პარტიული პროგრამაა დაწერილი. მაგრამ ჩვენ ვამტკიცებთ, რომ ოფიციალური პარტია ასცდა ამას და მიეჭანება ბურჟუაზიული გზით, აკეთებს ყოველდღიურ „მეშჩანურ“ საქმეს, იქნებ დიდათ საჭიროს, მაგრამ არა ნამდვილ დემოკრატიულს და, მით უმეტეს, არა სოციალისტურს.

მართალია ისიც, რომ ჩვენ პირველად გვერდს ვუვლიდით ამ პრინციპიალურ განსხვავებაზე ლაპარაკს. ჩვენ გვახსოვდა ფაუსტის სიტყვები, რომ უწინარეს ყოვლისა იყო საქმე და არა სიტყვა. ჩვენ ავირჩიეთ პრაქტიკული გზა, ავამეტყველეთ ფაქტები და შემდეგ, როდესაც ფაქტების მთელმა გროვამ მოითხოვა ერთგვარი დაწყობა, სისტემატიზაცია, დასკვნების გაკეთება, ჩვენ მოვახდინეთ უკანასკნელი ოპერაციაც და დაიბადა ჩამოსხმული და ჩამოყალიბებული აზრი, პრინციპიული დებულებები.

ფრაქციაში ხშირათ გვიხდებოდა მთავრობის მოქმედების განხილვა, ამ მოქმედების საკანონმდებლო ორგანოების კომპენტენციასთან დაპირდაპირება. ანალიზმა მოგვცა სრულიად გარკვეული შედეგი: ჩვენს პირობებში აღმასრულებელი ხელისუფლება არ ემორჩილება საკანონმდებლო ორგანოს და აქედან იბადება მთავრობის სრული უპასუხისმგებლობა.

შემდეგ ჩვენ ვაიძულეთ, და ამისთვის დაგვჭირდა დიდი ბრძოლა, მთავრობის წევრთ გაეკეთებინათ ფრაქციისათვის პერიოდიულად მოხსენებები. ჩვენ დავინახეთ აუარებელი დეფეკტები., ხშირად ბოროტ-მოქმედებაც. ჩვენ გავაკეთეთ ახალი ანალიზი მართვა-გამგეობის საქმეში, მივიღეთ ახალი დასკვნა: მუშაობის უსისტემობა, ბიუროკრატიზმი და მასთან კონტროლის სრული უქონლობა. კონტროლის აბუჩათ აგდება. აღმაშფოთებელი ფაქტები მოგვცა უკანასკნელმა დებატებმა დამფუძნებელ კრებაში მოშარაგების მინისტრის მოხსენების შესახებ.

სხვაგვარი ფაქტების განხილვამ ჩვენს წინაშე წამოაყენა კიდევ ახალი საკითხი—საკითხი შეუთავსებლობის.

მუშათა ეკონომიური მდგომარეობის შესახებ შეგროვილ ფაქტებმა დაგვანახვა, რომ მთავრობა და მისი ზედამხედველობის ქვეშ მყოფნი პარტიული ორგანოები სრულიად უძლურნი გამოდგენ ამ კითხვების გადაჭრაში, ვერ უშველა ვერც გაბერილ რეზოლიუციებ—დაპირებებმა, ვერც ნოე ჟორდანიას აღგზნებულ წინასწარმეტყველობამ, მისმა დაპირებამ, რომ სამ-ოთხ წელში დაგვიდგება სოციალისტური სამოთხეო.

ვერ უშველა ვერც ერაძის სამინისტრომ, ვერც სატარიფო პალატამ, ვერც მთელი მუშათა კლასის მუნჯად გადაქცევამ, ვერც კლასთა ბრძოლის და თვით-მოქმედების ნაცვლად სოციალ-პოლიტიკური სიდუმბლის დამკვიდრებამ.-

მუშათა კლასი უკვე ეჭვის თვალით უყურებს იმ მეთოდებს, რომლითაც მთავრობა და „გაჩინოვნიკებული“ ჩვენი პარტია სარგებლობს. მუშების მოწინავე ნაწილში უკვე დაისვა პრაკტიკული საკითხი, სოც-დემოკრატიული პარტიის გაჯანსაღება“

დღეს ბევრს განზრახ, ბევრი გულუბრყვილოთ ამბობს თითქო კომუნისტებმა დაანგრიეს სოც-დემ. პარტია საქართველოშიო.

ეს ტყუილია. ამ პარტიის ნგრევა დაიწყო მაშინ, როცა დამფუძნებელ კრებაში გამოვიდა ერთი ჯგუფი სოც.-დემ. პარტიისა და საშინელ კრიტიკის ქარ-ცეცხლში გაატარა პარტიის ხელმძღვანელები.-

რომ მენშევიკური პარტია ასცდა სოციალისტურ გზას და ჩაეფლო ბურჟუაზიულ ჭაობში, ეს აღნიშნეს „სხიველებმაც“ ჯერ კიდევ მაშინ, როცა ისინი იყვნენ სოც.-დემ. პარტიაში.

რომ დემოკრატიული მთავრობა იყო უზურპატორული, თვითნებითი, უპასუხისმგებლო, ამის შესახებ სწერს „ახალი სხივიც“ № 9 თავის თეზისებში:-

— საახელმწიფოებრივ მმართველობის შესახებ ჩვენ ვამბობდით დამფუძნებელ კრების ტრიბუნიდან ჩვენ მიერ გამოცხადებულ დეკლარაციაში, რომ არ არის განხორციელებული მთავრობის პასუხისმგებლობა, სახელმწიფო კონტროლი, რომ ერთმანეთში არეულია პარტიის და სახელმწიფოს ფუნქციები, რაც ჩვენ მიგვაჩნდა დამღუპველად, რაც ასუსტებდა და ანგრევდა პარტიას და ამავე დროს ზლიდა მმართველობის აპარატს, ჭაბადებდა ანარქიას, პირადულ რეჟიმს, ადმინისტრატიულ რეჟიმს, ადმინისტრატიულ თვითნებობას,“-

აქვე უნდა ითქვას, რომ „ახალი სხიველები“ არ იყვნენ წმინდა წყლის სოციალისტები.-

მათ, მართალია, აღნიშნეს მთავრობის დეფექტები, პარტიის სუსტი მხარეები, პარტიის გადაცდენა სოციალისტურ გზიდან. მაგრამ თვით „სხიველების“ ჯგუფი მრავალ საკითხში გაცილებით მარჯვნით იდგა, ვიდრე მენშევიკური პარტია.

საახელმწიფოებრივ ფორმის მხრით ისინი მიდიოდენ კიდევ უფრო შორს. მოითხოვდენ, რომ მთავრობა ყოფილიყო ხალხისნური, ყველა ჯგუფების და ფენების წარმომადგენელი და სხვა.

მაგრამ „სხიველების“ გამოსვლას მაინც გამოეხმაურა მუშათა კლასი. მიუხედავათ გაშეფებული პარტიული ტერორისა, ბევრ ადგილას თავი იჩინა ძიების, „რევიზიონიზმის“ პროცესმა და ვინ იცის რით გათავდებოდა საქმე, რომ ამ დროს არ გამხდარიყო საქართველოს გასაბჭოება.

რატომ გამოეხმაურენ მუშები „სხიველებს?“.

აქ აშკარა იყო ერთი, მენშევიკური პარტია ვერ აკმაყოფილებდა მუშათა მასას. ყველა გრძნობდა, რომ ეს პარტია სცდებოდა, შორდებოდა მუშათა კლასს.

და როცა ამ პარტიას გამოეთიშა ერთი ჯგუფი მკაცრი კრიტიკით და ახალი ლოზუნგით პარტიის გაჯანსაღების შესახებ, ამან დაინტერესა ბევრი, თუმცა აქაც ვერ პოულობდა დაკმაყოფილებას და იმედ დაკარგული დგებოდენ განზე.

საბჭოთა ხელისუფლების ჩვენში დამყარების შემდეგ კი მენშევიკური პარტიის მუშური ელემენტები გაფაციცებით ადევნებენ თვალს კომპარტიის მუშაობას და სრულიად რწმუნდებიან, რომ ეს პარტია არის მუშური პარტია.

საქართველოს გასაბჭოების მესამე წელს მუშური ელემენტები მენშევიკური პარტიისა აშკარად ანებებენ თავს ძველ პარტიას და სრულიად შეგნებულად უერთდებიან კომპარტიას.

ვინც გადაავლებს ანალიტიურ თვალს ჩვენი ყოფილ პარტიაში შექმნილ ძალთა განწყობილებას ამ უკანასკნელ წლებში, უკმაყოფილებას, ძიების პროცესს და სხვა, ის დაინახავს, რომ 30 აგვისტოს აქტი არ იყო შემთხვევითი მოვლენა, ის იყო ლოღიკური დასკვნა ჩვენი ყოფილი პარტიაში შექმნილი ობიექტიური მდგომარეობისა.— ა. რ.

ახ. მარქსისტთა ორგანიზაციის ყრილობის შედეგების კვირეული პროვინციაში.

ახ. მარქსისტთა ორგანიზაციის ორგანიზაციული მუშაობა ამოიწურებოდა საქართველოს ახალგაზრდათა მოძრაობის ისტორიაში მოსწავლე და ინტელიგენტური ახალგაზრდობის დაკავშირებით.

მოსწავლე ახალგაზრდობის რიგებში ფართო ორგანიზაციულ მუშაობის წარმოება, რომელსაც უმთავრესად აკადემიური ხასიათი ქონდა, იყო მთავარი მრწამსი ამ ორგანიზაციისა, ამის მიხედვით სრულიად ბუნებრივად უნდა ჩაითვალოს ის გარემოება, რომ ამ ორგანიზაციის ფართე იდეიური გავლენა ჰქონდა მოსწავლე ახალგაზრდობის რიგებში.

ოქტომბრის რიცხვებში დასრულდა სრულიად საქართველოს ახ. მარქსისტთა ყრილობა, რომელმაც მიუდგომელი ისტორიული ანალიზი უყო თავის ორგანიზაციის მუშაობას და გაუქმებულად გამოაცხადა ის რესპუბლიკის მაშტაბით.

ამ მხრივ ამ ყრილობის ისტორიული დამსახურება უდაო ისტორიული ფაქტია, რომელსაც ადრე თუ გვიან მიეცემა არა ადგილობრივი ხასიათი, არამედ ის თავის გამოძახილს დასავლეთ ევროპის რევოლიუციონურ ახალგაზრდობის ფართე მასშებიაც იპოვის.

ამ ყრილობის შედეგებს თავისებური გამოძახილით შეხვდა. გერმანიაში ქართველი სტუდენტობა, რომელმაც „საბჭოთა საქართველოს სტუდენტთა კავშირი“ შექმნა.

ამასთანავე არის უტყუარი ცნობები იმის შესახებ, რომ გერმანიის რევოლიუციონურ სტუდენტობის რიგებში ადგილი აქვს ფართო პოლიტიკურ გარდაფასებას.

გერმანიის ახალგაზრდა სოციალ-დემოკრატები, რწმუნდებიან რა გერმანიის სოც. დემოკრატიის გამყიდველობითი პოლიტიკაში, გამოდიან ხსენებულ ორგანიზაციებიდან ჯგუფების სახით და სდგებიან 3-მე კომუნისტური ინტერნაციონალის დროშის ქვეშ.

ეს ფაქტი დიდი ისტორიული გამარჯვებით დასრულდება, რომელშიაც დიდი ადგილი ჩვენი ყრილობის დადგენილებებსაც დაეთმობა. ყრილობის დასრულების შემდეგ კომისიამ, რომელიც შეიქმნა კ. ა. ც. კომიტეტთან თითქმის მთელ რესპუბლიკის მაშტაბით ჩაატარა მოხსენებები ხსენებული ყრილობის დადგენილებების შესახებ, უმთავრესად მოსწავლე ახალგაზრდობის მასებში, რადგანაც ეს ორგანიზაცია, როგორც ზემოთ ავღნიშნეთ სარგებლობდა ამ მასებზე დიდი გავლენით.

იმ მოხსენებების ანგარიშებიდან, რომელიც ჩატარებულ იქნა რესპუბლიკის მაშტაბით, ირკვევა, რომ მოსწავლე ახალგაზრდობა დიდი სერიოზულობითა და სიმპატიით შეხვდა ყრილობის დადგენილებებს.

მაგალითისათვის შესაძლებელია მოვიყვანოთ თბილისის ტეხნიკუმებში მიმდინარე მოხსენებანი, ამასთანავე გურიის მაზრის ტეხნიკუმის მოწაფეთა დიდი სიმპატია, რომელიც ხშირად იხატებოდა რეზოლიუციის გამოტანაში, რომელშიაც იწონებდენ და ტაშის კვრით ხვდებოდენ ყრილობის დადგენილებებს, ეს ფაქტი ამტკიცებს იმ გარემოებას, რომ მოსწავლე ახალგაზრდობა, რომელიც რამოდენიმე ხნის უკან ანტიკომუნისტურად იყო განწყობილი საბჭოთა ხელისუფლების მიმართ, დღეს ახდენს დიდ პოლიტიკურ გადაფასებას, რაიც დამამტკიცებელია კომუნისტური ხელისუფლების ისტორიულად გამართლებისა. რაც ითქმის მოსწავლე ახალგაზრდობის შესახებ, იგივე თუმცა ცოტათი განსხვავებით ითქმის ქართველ სტუდენტობაზედაც. ქართველი რევოლიუციონურ სტუდენტობაც, რომელსაც მოკლე ისტორია აქვს, ისეთივე სიმპატიით შეხვდა ყრილობის დადგენილებებს, რომ აქაც, როგორც თითქმის ყველა ტეხნიკუმებშიაც, ადგილი არ ქონია არც ერთ წინააღმდეგობას ყრილობის დადგენილებების მიმართ.

შ. სიხარულიძე.

გერმანიის ამბების გარშემო

გერმანიის ეკონომიური მდგომარეობა.

გერმანიის მეურნეობა ამ ჟამად განიცდის ისეთ კრიზის, რომლის მსგავსი მას არ უნახავს ომის შემდეგ დროის განმავლობაში. რურის ოკუპაციამ და ფინანსიურ ეკონომიურმა არევ-დარევამ გამოიწვია მთელი რიგი წარმოებების დახურვა და შემცირება. ამ რღვევამ განსაკუთრებით ფართო ხასიათი მიმდინარე წლის შემოდგომაში მიიღო.

წარმოების შემცირების შესახებ ჩვენ წარმოდგენას მოგვცემს ცნობები უმუშევრების და ნახევრად უმუშევრების შესახებ. (ნახევრად უმუშევრებათ ითვლებიან ისინი, ვინც კვირის განმავლობაში მუშაობს 8—24 ს.)

უმუშევართა რაოდენობა საერთოდ მუშათა რიცხვთან პროცენტული მიმართებით შემდეგ ნაირად გვეხატება:

1922 წ. იანვარი	3,3.	1923 წ. იანვარი	4,2
თებერვალი	2,7.	მარტი	5,6
მარტი	1,1.	აპრილი,	7,0
აპრილი,	0,9.	მაისი,	6,2
მაისი,	0,7	ივნისი	4,1
ივნისი	0,6	ივლისი	4,5
ივლისი,	0,6	აგვისტო	6,3
აგვისტო,	0,7		
სექტემბერი	0,8		
ოქტომბერი,	1,4		
ნოემბერი	2,0		
დეკემბერი	2,8		

ამ ციფრებიდან აშკარაა, რომ უმუშევრობა შარშანდელ ზაფხულთან შედარებით გაზრდილა 7—9 ჯერ. მაგრამ მრეწველობის კრიზისმა თავისი უაღრესი გამოხატულება პოვა არა მარტო უმუშევართა გამრავლებაში, არამედ ნახევრად უმუშევართა კატასტროფიულ გამრავლებაშიაც. ნახევრად უმუშევართა რიცხვი უმთავრესად გადიდდა მრეწველობის იმ დარგებში, რომელნიც მუშაობდნენ უშუალო მოხმარებისათვის. მაგ. საქსოვ მრეწველობაში მუშათა საერთო რიცხვის 46—50 პროც. ნახევრად უმუშევრებზედ მოდიოდა მიმდინარე წლის აგვისტოს ბოლო რიცხვებში; მკერავ მუშებში—58 პროც., თამბაქოზე მომუშავეებში—37%, მეზექმეებში—74%. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ნახევრად უმუშევართა უმეტესი წილი მოდის იმათზე, ვინც 16 საათზე ნაკლებს მუშაობდა კვირაში. აგვისტოს შემდეგი თვეების ციფრები კიდევ უფრო საშინელ სურათს იძლევა, კრიზისი უფრო გაღრმავებულია. წარმოებები შემცირებულია. უმუშევართა რაოდენობას 8 მილიონამდე მიუღწევია. სრული სამუშაო ჰქონია მხოლოდ მუშათა **ერთ მეხუთედ ნაწილს**.

მაგრამ ჩვენ ვიცით, რომ გერმანიის მრეწველობის კრიზისი 1923 წელში იყო უმთავრესად შედეგი რურის ოლქის ოკუპაციისა. ახლა იბადება საკითხი: შეუძლია თუ არა გერმანიის ბურჟუაზიას „ბონივრული“ ეკონომიური მეთოდებით აღადგინოს ქვეყნის დაშლილი მეურნეობა, თუ მის ხელში გადავა ქვეყნის ბატონპატრონობა საესებით ე. ი. თუ მას დაუბრუნდება რურის ოლქი.

ამ საკითხთან მჭიდროთ გადაბმულია საკითხი გერმანიის მეტოქეობითი უნარის შესახებ.

ამ მხრივ უნდა ითქვას, რომ გერმანიის ექსპორტი ომის შემდეგ წლებში იმყოფებოდა გამონაკლის ხელსაყრელ პირობებში. ასეთი მდგომარეობა გრძელდებოდა 1922 წლის შემოდგომამდე. გერმანიის მრეწველობა მსოფლიო ბაზარს აწვდიდა საქონელს გაცილებით იაფ ფასებში, ვინემ სვა რომელიმე ინდუსტრიალური ქვეყანა. ამის მეოხებით გერმანიამ სასწრაფოდ დაიპყრო ის ბაზრები, რომელიც მან დაჭკარგა საერთაშორისო ომით.

გერმინიის ექსპორტის გაძლიერება და საერთოდ ფასების სიაფე აიხსნებოდა შემდეგიგარემოებით:

1) სამუშაო ქირა იდგა მეტად დაბალ დონეზე. ამას ხელს უწყობდა პურის სიაფე. (პურის ფასებს კი თვით სახელმწიფო აწესრიგებდა). ბინის ქირის საოცარი სიმცირე. გერმანიის მოქალაქის ბიუჯეტში ბინის ქირას ეკავა 1%, მაშინ როდესაც წინეთ ბინას ბიუჯეტში ეჭირა 5%. მაგრამ ამით ომის თქმა კი არ გვინდა, თითქოს გერმანელი მუშის ხელფასის რეალური ღირებულება წარმოადგენდა ისეთ რამეს, რასაც ინგლისის, ან ამერიკის მუშის ხელფასი წარმოადგენს. არა, გერმანელი მუშა რეალურად გაცილებით უარეს მდგომარეობაში იმყოფებოდა, ვინემ ინგლის-ამერიკის;

ექსპორტის გადიდება კი ხდებოდა პროლეტარიატის გაყვლეფის ნიადაგზე. გარდა ამისა გერმანიის მეტოქეობით უნარს მსოფლიო ბაზარზე მეტად ხელს უწყობდა ნახშირის და ტრანსპორტის სიაფე. ნახშირი იაფი იყო იმიტომ, რომ რურის ოლქი საოცრად მდიდარია ნახშირით და მისი ამოღება ტეხნიკურად საუცხოვოდ და შედარებით იაფად არის მოწყობილი, იმავე დროს რკინის გზის ტარიფი გერმანიაში გაცილებით დაბალი იყო, ვინემ სხვა ქვეყნებში. რკინის გზას ჰქონდა დეფიციტი, მაგრამ მას ფარავდა სახელმწიფოს ხაზინა ემისიის საშუალებით.

მაგრამ გერმანიის პრივილეგიური მდგომარეობა მსოფლიო ბაზარზე შეიცვალა მას შემდეგ, რაც მას ხელიდან გამოეცალა მდიდარი რური. გერმანიის საქონელზე ფასების გადიდება დაიწყო 1923 წლიდან და დღემდე გრძელდება. აი მაგალითები: გერმანული ორთქლის ქვაბის ფასი—4.110 გირ. სტერლინგი. საზღვარ გარეთელი ფირმები კი ასეთივე ქვაბს ყიდიან 3,624 გირ. სტერ. (12 პროცენტით იაფად), საბუჭდავ მანქანებს (ამერიკანკა) იტალიური ფირმები ამუშავებდნენ 24,300—35.000 ლირათ, გერმანიას კი ასეთივე ტიპის მანქანები უჯდებოდა 32.000—45.000 ლირა. განსაკუთრებით საინტერესოა დიზელის ფასები (დიზელი კი სპეციალურად გერმანიის წარმოების პროდუკტია) ლიუქსემბურგში მიტანილი 50 ძალიანი მატორი ბელგიისა ღირდა 50.000 ფრანკი, ასეთივე მამოძრავებული გერმანული ტიპისა ჯდებოდა 64.700 ფრანკი. ისპანიაში მიტანით კი გერმანიის მამოძრავებელი 36% ძვირი იყო იტალიურზე.

ყოველ ეტეს გარეშეა, რომ გერმანულ ნაწარმოებზე ფასების ზრდა გამოიწვია რურის ოლქის ოკუპაციამ, რომელმაც საშინელი არევ-დარევა შეიტანა სამეურნეო ცხოვრებაში.

ახლა განვიხილოთ ეს საკითხი, თუ რამდენად ხელს-უწყობს გერმანიის მრეწველობის პირობები მეტოქეობითი უნარის განვითარებას და შეუძლიანთ თუ არა კონკურენციის ატანა.

გერმანიის მრეწველობას, როგორც ავღნიშნეთ, ხელს უწყობდა საქონლის იაფად გაყიდვაში ის გარემოება, რომ პური ძალიან იაფი იყო, რადგანაც თვით სახელმწიფო აწესრიგებდა პურს ბარათების საშუალებით. ამ ჟამად კი მთავრობა ფაქტიურად უარს ამბობს ბარათების სისტემაზე და პურის მის თვით ღირებულების ნაკლებად გაყიდვაზე. ბინის ქირის სიმცირე გრძელდება, მაგრამ პურზე იძულებითი სისტემის მოხსნის შემდეგ მთავრობა იძულებული იქნება ბინის საკითხიც თავისუფალ პრინციპებზე მოაგვაროს, რადგანაც არ შეიძლება საზოგადოების მარტო ერთი ფენა შეეწიროს მსხვერპლად სხვებს.

რაც შეეხება სამუშაო ქირას, მისმა დაცემამ მიმდინარე წელში გაუგონარ სიდიდეს მიაღწია. გერმანიის პროფესიონალური კავშირების გამოანგარიშებით მონტიორს შეუძლია იყიდოს ის პროდუქტები, რომელსაც ის 1922 წ. აპრილში $7^1/_2$ საათის მუშაობით ყიდულობდა, მხოლოდ 38, 3 საათის მუშაობით. მშენებლებისა და ასოთ-ამწყობთათვის სათანადო ციფრები შეადგენდენ 44 და $48^1/_2$ საათს, ნაცვლად $7^1/_4$ და $7^3/_4$ საათისა. ქოსტიუმის შესაძენათ ბერლინის მელითონე ომამდი ხარჯავდა 71,4 საათს, 1923 წ. 6 აგვისტოს—172,4 საათს, 20 აგვისტოს—116,7 საათს, ხოლო 3 სექტემბერს—476,2 საათს. ზღაპრულად დაეცა გერმანელი მუშის ისედაც დაცემული ხელფასის რეალური ღირებულება.

გერმანული გაზეთების ცნობებით არც იაფი ქვანახშირის მიღების პერსპექტივებია უკეთეს მდგომარეობაში. პირიქით, ძალიან ცუდი და არა ხელსაყრელი პირობებია ამ მხრივ. ვერც რკინის გზის ტარიფის შემცირებით შეიძლება ექსპორტის გადიდება. ყველაფერ ამას ზედ ემატება ის, რომ თითქმის ყველა ქვეყნის მრეწველები ფიქრობდნენ და ცდილობდნენ ექსპორტის გასადიდებლად და ფასების დასაწევად ტეხნიკის გაუმჯობესებაზე და დიდი მიღწევებიც მიიღეს. გერმანიის მრეწველები კი არხეინად იყვნენ, რადგანაც გერმანული ფასები ისედაც დაბლა იდგნენ და საშუალებას აძლევდნენ ექსპორტის გაძლიერებისა. ამიტომ გერმანელი მრეწველები ნაკლებათ ფიქრობდნენ სამუშაო იარაღის ტეხნიკის გაუმჯობესებაზე.

ყველაფერი ეს ჩვენ გვეუბნება: თუნდაც რომ დარჩეს გერმანიის მესაქეთ ბურჟუაზია, მას მაინც არ ძალუძს გერმანიის ეკონომიური მდგომარეობის გამოსწორება. გერმანია ისეთი ქვეყანაა, რომელსაც შეაქვს თავის ქვეყანაში ნედლი მასალა და სურსათ სანოვაგე. მან აუცილებლად უნდა გაზიდოს თავისი ნაწარმოები სხვა ქვეყნებში, ამ გაზიდვის საშვალება მას დღეს მოსპობილი აქვს სწორედ. ამ ჩიხიდან გამოსავალი ბურჟუაზიას არ აქვს. აქვს მხოლოდ ერთი გამოსავალი: ეს არის გერმანიის სხვა ქვეყნების კოლონიათ გადაქცევა. მაგრამ აქ ის გადაეღობება პროლეტარიატის წინააღმდეგობას და შეიძლება კისერიც მოიტეხოს. ასეთი სახიფათო მდგომარეობაში იმყოფება გერმანიის ბურჟუაზია და ასეთ ცუდ პირობებში უხდება ცხოვრება გერმანიის პროლეტარიატს.

ᲔᲙᲝᲜᲝᲛᲘᲣᲠᲘ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲐ.

„ᲛᲐᲙᲠᲐᲢᲔᲚᲘ“ ᲓᲐ ᲡᲐᲡᲝᲤᲚᲝ ᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲘᲡ ᲐᲛᲝᲪᲐᲜᲔᲑᲘ.

საბჭოთა კავშირის სასოფლო მეურნეობა კრიზისს განიცდის. ეს ანბანური ჭეშმარიტებაა. მაგრამ საჭიროა ამ კრიზისთან ბრძოლა. ეს აშკარაა ყველასათვის. უდავოა ის, რომ რუსეთის სასოფლო მეურნეობის აღდგენა შეუძლებელია გარეშე პურის ფასის მოწესრიგებისა. პურის ფასის პრობლემა იმავე დროს არის მცხოვრებთა ყიდვითი უნარის პრობლემაც, სულ ბოლოს კი სასოფლო სამეურნეო კაპიტალის აღდგენის პრობლემაა. ამის გადაწყვეტა დროებითი ღონის ძიებით შეუძლებელია, მისი გადაწყვეტა უნდა მოხდეს ორგანიულად და რადიკალურად.

ძირითად საშუალებად სასოფლო მეურნეობის აღდგენისა უსათუოდ უნდა ჩაითვალოს სასოფლო-სამეურნე კრედიტის საქმის მოწესრიგება—სასოფლო სამეურნეო ბანკის გახსნა, თუ გლეხი მიიღებს ძირითად და საბრუნავ თანხას, მაშინ ის თავის ნაწარმოებს მხოლოდ მაშინ გაჰყიდის, როცა ღირსეულ ფასს მისცემენ. ფასებს გამოარკვევს საბაზრო ურთიერთობა და არა გაუჭირვების მომენტი, რომელიც ხშირად აიძულებს გლეხს ჩალის ფასად გაჰყიდოს თავისი ნაწარმოები, არამედ მას ექნება ფული, რომ გადიხადოს გადასახადი და შეიძინოს ინვენტარი.

პურის ფასის აწევა უნდა მოხდეს, რათაც არ უნდა დაგვიჯდეს ეს. გარდა ამისა ძირითად საკითხად უნდა იქნას მიჩნეული შინაური და საგარეო ბაზრების სწორად მოწესრიგება. მრეწველობის საქონლის გაძვირების წინააღმდეგ გადამწყვეტი ზომების მიღებაა საჭირო უმთავრესი მიზეზი ფასების სიდიდისა მრეწველობაში, უნდა ვეძიოთ ვაჭრობის ორგანიზაციაში, ეგ. წოდ. ზედნადებ (накладные) ხარჯებში. ეს ის ხარჯებია, რომელიც აღმოცენდება იმ დროს, როცა საქონელი ფაბრიკა-ქარხნიდან მომხმარებლამდე მიდის. მაგალითისათვის ავღნიშნავთ, რომ ჩითი 18 კაპეიკიდან ძვირდება—39 კაპიკამდე, ანუ 117 პროცენტით., ნავთი 39 კაპ. 2 მ. 19 კ.—დე, რაც შეადგენს 454 პროცენტს. აქვე მოვიყვანთ ცნობებს იმის შესახებ, თუ რამდენად ძვირი ჯდება ხორბლის გადატან-გადმოტანა. ერთი ფუთი ხორბლის გადატანა კავკავის რკინის გზით ნოვოროსსიიდან 100 ვერსის მანძილზე. წინათ ჯდებოდა 5,2 კაპ., ახლა კი 8,4 კაპ. თუ კი ლონდონში წავიღებთ ამ ხორბალს მაშინ დაგვიჯდება 38,87 კ., წინეთ კი ჯდებოდა 11,54 კაპ. ე. ი. ახლა $3^1/_2$ ჯერ მეტი ჯდება ეს გადატან-გადმოტანა, ვინემ წინეთ. ამას უნდა დაუმატოთ საშუამავლო და სავაჭრო მოგება. აშკარაა, რომ ეს ხარჯები აძვირებს საქონელს. დამკვრელ ამოცანად უნდა იქნას აღიარებული ამ ხარჯების შემცირება, როგორც ადმინისტრატიული ზეგავლენის, ისე ორგანიზაციული წესით. თუ ეს არ მოხდა, წყეული „მაკრატელი“ უფრო და უფრო გაიწევა მისი პირები ვერ მივა ერთმანეთთან. „მაკრატელის“ პრობლემა ეს სასოფლო მეურნეობის პრობლემაცაა. ამიტომ დიდი ღონისძიებათა გატარებაა საჭირო, რომ სოფლის მეურნეობა აღსდგეს. სოფლის მეურნეობა საფუძველია მთელი სახალხო მეურნეობის და მას განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს.

ᲙᲕᲘᲠᲘᲓᲐᲜ-ᲙᲕᲘᲠᲐᲛᲓᲔ.

პოლიტიკურ ჰორიზონტზე ამ ჟამად ჩვენს ყურადღებას იპყრობს სამი ამბავი: 1) გერმანიის მთავრობის შედგენა 2) მდგომარეობა გერმანიის სოც. დემოკრატიაში და 3) ინგლისის საპარლამენტო არჩევნები. არის კიდევ სხვა უფრო მეორეხარისხოვანი მოვლენები, რომლის შესახებ ვილაპარაკებთ გაკვრით.

გერმანია თითქმის ათი დღის განმავლობაში „ეძებდა“ მთავრობას. მთავრობის კრიზისს გარეგნულად ჩვეულებრივი საპარლამენტო კრიზისის ელფერი ჰქონდა, არსებითად კი ეს იყო თვით გერმანიის წესწყობილების, მართვა—გამგეობის ფორმის კრიზისი.

მართალია, დიდი ხნის „ძებნის შემდეგ მონახულ“ იქნა ახალი მთავრობა. სიტყვით ახალი, საქმით ძველი. ამას იმიტომ ვამბობთ, რომ ახალი მთავრობა თავისი პროგრამით და პოლიტიკური ხაზით იგივეა, რაც შტრეზემანის მთავრობა იყო. ცოტა მარჯვნივ გადახრა თუ ანსხვავებს, მეტი არაფერი. ეს მთავრობა შეადგინა ცენტრის წარმომადგენელმა მარქსმა. მთავრობაში უმთავრესად შედიან სახალხო პარტიის მემარჯვენე წევრები. თვით შტრეზემანი დათანხმდა საგარეო საქმეთა მინისტრის პორტფელის მიღებაზე. ამის გამო მას ებერტმა მადლობა გამოუცხადა. მთავრობაში არ შევიდა ნაციონალისტების წარმომადგენლები. ისინი ოპოზიციაში ჩაუდგნენ ახალ მთავრობას.

ამ მთავრობის შესახებ გერმანიის პოლიტიკურ წრეებში გარკვეულ აზრი არსებობს. მას ყველა დროებით მთავრობათ სთვლის, რომელმაც ნიადაგი უნდა შეამზადოს არჩევნებისათვის. არჩევნები კი თებერვალში მოხდება.

ამ მთავრობის ბედი სოც. დემოკრატიის ხელში. თუ ის გადაუდგა, კრიზისი აუცილებელია, რადგანაც მაშინ რეიხსტაგში ოპოზიციზია უმრავლესობაში მოექცევა.

ახალი მთავრობის პირველი სიტყვა იყო განსაკუთრებული უფლებების მოთხოვნა. ს. დემოკრატებმა ამ მოთხოვნას მხარი დაუჭირეს.

საერთოდ კი გერმანიის მდგომარეობის შესახებ უნდა ითქვას შემდეგი. გერმანიაში წარმოება დღითი დღე ეცემა. სამეურნეო ცხოვრების მოშლა თანდათან ღრმავდება. უმუშევრობა სწრაფად იზრდება. მართალია რევოლიუციონური მოძრაობა შენელდა, სამოქალაქო ომი მიყუჩდა და აღარ არის რევოლიუციისათვის ისეთი პირობები, როგორც ეს ოქტომბერში იყო, მაგრამ რევოლიუციონური პროცესი სწარმოებს. ყველა ის ძალები და მიზეზები, რომელთაც რევოლიუცია უნდა წარმოეშვათ, დღესაც არსებობენ და ვითარდებიან.

გერმანიაში რევოლიუციის მოხდენას სხვა ათას პირობებთან ერთად ისიც უშლის, რომ მუშათა მასსები სოც. დემოკრატიას მიყვებიან, მართალია ეს მასსები თანდათან სცილდება მათ, მაგრამ ისინი იმდენათ შეზრდილნი არიან ს. დემოკრატიასთან, იმდენად შეთვისებულნი არიან მასთან, რომ მეტად ძნელი ხდება ამ მასსების მის ხელიდან გამოგლეჯა. ეს კი საჭიროა რევოლიუციის გასამარჯვებლად. წინაღმდეგ შემთხვევაში გერმანიის რევოლიუცია ვერ იქნება ხერხემლიანი, მტკიცე.

მაგრამ, როგორც სინამდვილეში ირკვევა, მასსების კომპარტიის მიერ დაპყრობის პროცესი მეტად ნელა მიმდინარეობს. თუმცა დღეს ყველასათვის აშკარაა, რომ ს. დემოკრატია უკვე აღარაა ის მიუვალი ციხე-სიმაგრე, როგორც ის იყო ოდესღაც. დღეს ის კრიზისს განიცდის, დაშლის წინ არის. ამ დებულებას ნათელს ფენს საქსონიის და ტიურინგიის ს. დემოკრატიული პარტიის ყრილობის ამბები. აი მაგ.,

3 დეკემბერს დრეზდენში გაიხსნა საქსონიის სოციალ-დემოკრატიულ პარტიის ყრილობა, რომელმაც გამოააშკარავა ღრმა უთანხმოება პარტიის მემარჯვენე და მემარცხენე ჯგუფებს შორის. ყრილობის უმრავლესობამ მხარი დაუჭირა მემარცხენე ჯგუფს.

ყრილობაზე მოხსენებით გამოვიდა რეიხსტაგის დეპუტატი-ქალი, სოციალ-დემოკრატიის მემარცხენე ჯგუფის წევრი ტონი ზინდერი, რომელმაც კრიტიკის ქარ-ცეცხლში გაატარა პარტიის ც.-კის პოლიტიკა.

თითქმის ყველა ორატორებმა ცენტრ. კომიტეტის წინააღმდეგი აზრი გამოსთქვეს. კამათის დროს დიტმანმა განაცხადა, რომ იგი საერთოდ ეთანხმება ტონი ზინდერს, მაგრამ მიმდინარე მომენტს შეუფერებლად სთვლის პროლეტარულ გამოსვლისათვის. მის სიტყვას ყრილობა ხშირათ სწყვეტდა. როდესაც დიტმანმა მოითხოვა სიტყვის დასრულებისათვის ვადის გაგრძელება, მრავალმა დეპუტატმა პროტესტი განაცხადა ამის წინააღმდეგ, შეურაცყოფილმა დიტმანმა დასტოვა სხდომის დარბაზი.

100 ხმის უმრავლესობით 2 ხმის წინააღმდეგ ყრილობამ მიიღო რეზოლიუცია, რომელიც გმობს ც. კ—ის კოალიციონურ პოლიტიკას, ბურჟუაზიულ პარტიებთან თანამშრომლობას და მისწრაფებას სამხედრო დიქტატურისაკენ.

შემდეგ, 79 ხმის უმრავლესობით 21-ის წინააღმდეგ ყრილობამ მიიღო რეზოლიუცია, რომელიც უნდობლობას უცხადებს ცენტრ. კომიტეტს.

ყრილობის მეორე სხდომაზე საქსონიის სოციალ—დემოკრატიულ პარტიის აღმასკომის წარმომადგენელმა სასტიკათ გაილაშქრა ც. კ—ის პოლიტიკის წინააღმდეგ საქსონიის სა-

კითხში. მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ც. კ—მა უნდა შესცვალოს თავისი დამოკიდებულება კომუნისტებთან.

პარტიამ უნდა გამონახოს საერთო ენა კომუნისტებთან და კვლავ მოიპოვოს პროლეტარიატის მიერ დაკარგული პოზიციები.

დიტმანი ერცელ სიტყვაში ცდილობდა დაემტკიცებინა, რომ ც. კ—ტი არაა დამნაშავე საქსონიის წინააღმდეგ გერმანიის მთავრობის გამოსვლისათვის.

საბოლოო სიტყვაში მომხსენებელმა დაიცვა კომუნისტების ტაქტიკა და განაცხადა, რომ პარტიის ც. კ—ტი პასუხისმგებელია საქსონიის მუშათა დამარცხებისათვის. დასასრულს მომხსენებელმა აღნიშნა, რომ პარტიის ეხლანდელ ც. კ—ს არ ძალუძს იდეური ხელმძღვანელობა გაუწიოს პარტიას. სიტყვა მხურვალე ოვაციებით იყო დაჯილდოვებული.

ყრილობამ მიიღო რეზოლიუცია, რომელიც მოითხოვს კომუნისტებთან ერთად საქსონიის მთავრობის შედგენის ცდის განმეორებას. რეზოლიუციის თანახმად, სოციალ-დემოკრატების შესვლა კოალიციონურ მთავრობაში უნდა მოხდეს მხოლოდ სრულიად პარტიულ ყრილობის ნებართვით.

გამოტანილია აგრეთვე საპროტესტო რეზოლიუცია კომპარტიის აკრძალვის გამო.

„ფორვერტ"-ის ცნობით, ტიურინგიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის კონფერენციამ ვეიმარში ფრელეხის მოხსენების გამო მიღებულ რეზოლიუციაში გაილაშქრა ბურჟუაზიულ პარტიებთან კოალიციის წინააღმდეგ, ვინაიდან უკანასკნელის პოლიტიკა ტიურინგიაში ემსახურება მშრომელთა დამონავების მიზნებს. რეზოლიუცია მხარს უჭერს კომუნისტებთან თანამშრომლობას. სოციალდემოკრატია მოითხოვს სოციალისტურ მთავრობის შედგენას, რომელიც დაეყრდნობა პარლამენტის უმრავლესობაზე, და თუ ეს შეუძლებელი იქნება, საჭიროა ეხლანდელი მთავრობის დატოვება განსაკუთრებულ მდგომარეობის გაუქმებამდე კამათის დროს გამოირეა უკმაყოფილება პარტიის ცეკას და რეიხსტაგის სოციალ-დემოკრატიულ ფრაქციის პოლიტიკით. მთელმა რიგმა ორატორებმა მხარი დაუჭირეს კომუნისტებთან კავშირის დაყრდნობას, მხოლოდ რამდენიმე ორატორი მოითხოვდა კოალიციას ბურჟუაზიულ პარტიებთან.

ასე არეულია იქ მონასტერი. ერთი აღთას სცემს მეორე ბალთას. ლევის ჯგუფი კი აღრმავებს მოქმედებას და წინააღმდეგ ცეკას დადგენილებისა სურს განაახლოს აკრძალული თავისი გაზეთი. ასეთი ამბები ხდება ს. დემოკრატიულ პარტიაში.

კომპარტიას კი წართმეული აქვს ლეგალობა. სექტმა ბრძანება გამოსცა ცეკას არა დეპუტატ წევრების და ბერლინის კომიტეტის წევრების დაპატიმრების შესახებ. მთელი რისხვა ფაშისტური მთავრობისა კომპარტიას ატყდება თავს. სექტმა მუსოლინს გაასწრო. მუსოლინმა ვერ გაბედა კომპარტიის „დაშლილად გამოცხადება", სექტმა-კი. მაგრამ რევოლიუციონური ბრძოლაში გამოცდილი პარტია ამას არ უშინდება და თავის საქმეს განაგრძნობს.

დიდ ყურადღებას იპყრობს ინგლისის საპარლამენტო არჩევნები. უკვე გამორკვა, რომ არჩევნებში წამოყენებული იქნება სულ 1440 კანდიდატი, აქედან არჩეული იქნება 615 კაცი. კონსერვატორებმა წამოაყენეს სულ 536 კანდიდატი (89 კაცით მეტი, ვინემ შარშან). ლიბერალებმა—456 (შარშან 477). მუშათა პარტიამ და კომუნისტებმა წამოაყენეს 436 კანდიდატი (შარშან 414). კომუნისტური პარტიდან უშუალოდ გამოდიან მხოლოდ ნიუბოლდი და გალარი. დანარჩენი კომუნისტები (7 კაცი) გამოდიან, როგორც მუშათა პარტიის კანდიდატები. ეს დიდი გამარჯვებაა ინგლისის კომპარტიისა. მუშათა პარტიამ, ისინი ამ არჩევნებში თავის კანდიდატებად აღიარა. წინეთ არ იყო ასე.

საარჩევნო კომპანია გაცხოველებულია. ამ საარჩევნო ბრძოლაში ყველა პარტიები და ჯგუფები უმთავრეს ყურადღებას აქცევენ შინაურ პოლიტიკას, უმუშევრობის საკითხს, პროტექციონიზმს და სხვ., ხოლო ინგლისის საგარეო პოლიტიკის შესახებ, მის რურის ოლქის ოკუპაციასთან დამოკიდებულების შესახებ, შეგნებულად სდუმს ყველა ლიბერალური პარტია საკმაოდ გარკვეულად მოითხოვს საბჭოთა კავშირთან სავაჭრო ურთიერთობის ნორმალურად წარმოებას. ასკვიტმა განაცხადა, რომ საბჭოთა რუსეთთან ვაჭრობა უნდა გახდეს ერთ ერთ ამოცანად, რომელიც დაეხმარება ინგლისს უმუშევრობასთან ბრძოლაშიო. მუშათა პარტია საბჭოთა კავშირის შესახებ გამოდის ნათელი და გადამწყვეტი ლოზუნგებით. ის მოითხოვს სრულს იურიდიულ ცნობას საბჭოთა რესპუბლიკებისა და მათთან პოლიტიკური და ეკონომიური კავშირის აღდგენას. კონსერვატიული პარტია შეგნებულად სდუმს საბჭოთა კავშირთან ურთიერთობის შესახებ თავის პოლიტიკის გამართლებას პირდაპირ და საქვეყნოდ ის გაურბის, რადგანაც ეს მას დააბრკოლებს საარჩევნო ბრძოლაში.

ბურჟუაზიულ კანდიდატებიდან ყველაზე მეტი ნდობით სარგებლობს ლოიდ ჯორჯი, რომელიც 28 ნოემბერს გამოვიდა 14 მიტინგზე, სადაც მას აღფრთოვანებით შეხვდენ. ლოიდ ჯორჯი თავის გამოსვლების დროს სარგებლობს მიკროფონით, რომელიც საშუალებას აძლევს მსმენელებს მოისმინონ მისი სიტყვა ქალაქის სხვადასხვა შენობებში. მიკროფონით სარგებლობა ლოიდ-ჯორჯმა ისწავლა ამერიკაში.

ფართოდ სარგებლობს მიკროფონით აგრეთვე ბალდვინი.

ლიბერალების ბელადები ასკვიტი და საიმონი გამოდიან უმთავრესად ლანკაშირის სამრეწველო ოლქში;მათ გამოსვლას, როგორც სჩანს, მიზნათ აქვს ლანკაშირის კონსერვეტორების ფრიტრედერულ სიმპატიების გამოყენება.

ლიბერალების ბელადების წინააღმდეგ გამოდიან უმთავრესად ლორდ დერბი, და აგრეთვე კონსერვატორთა ერთ-ერთი საუკეთესო ორატორთაგანი ბერკანდადი, რომელიც გამოდის იმავე კრებაზე, სადაც ლაპარაკობს ლოიდ ჯორჯი.

მუშათა ბელადებიდან ყველაზე მეტი სიმპატიებით სარგებლობს მაკდონალდი, რომელიც აცხადებს, რომ მას არასოდეს არ უნახავს ასეთი ენტუზიაზმი და ნდობა. მაკდონალდის სიტყვების თანახმად, მუშათა პარტიის საარჩევნო მ-ნიფესტი აღაფრთოვანებს მუშათა მასებს.

ჩერჩილის გამოსვლას ისევ თან სდევს საწინააღმდეგო დემონსტრაციები მუშების მხრივ. უკანასკნელ სიტყვის დროს ჩერჩილს რამოდენიმეჯერ შეაწყვეტია აუდიტორიამ ლაპარაკი. აუდიტორია მიესალმა მაკდონალდს და საშინელი აღშფოთებით შეხვდა ჩერჩილს, მის მიერ რუსეთის მიმართ წარმოებულ პოლიტიკის გამო. აუდიტორიის განსაკუთრებული აღშფოთება გამოიწვია ჩერჩილის განცხადებამ იმის შესახებ, რომ „საბჭოთა ხელმძღვანელები დაშორდენ კომუნიზმის პრინციპს, ამიტომ ინგლისის მუშებმა ასე ბევრი არ უნდა იფიქრონ რუსეთზე".

აქვე უნდა აღვნიშნოთ პოლონეთთან ურთიერთობა საბჭოთა კავშირისა. ამას წინეთ საბჭოთა კავშირი პოლონეთთან აწარმოებდა მოლაპარაკებას მშვიდობიანი ნორმალური ურთიერთობის დამყარების შესახებ. რომ ჩაეშალა ეს მოლაპარაკება, პოლონეთმა მოაწყო ცნობილი მახნოს გასამართლება და ბრალდებათ წაუყენა გალიციაში აჯანყების მოწყობა, ვითომდა საბჭოთა რუსეთის წარმომადგენლობასთან შეთანხმებით და მისი წაქეზებით. ეს საქმე—გასამართლება მოაწყობინა პოლონეთს საბჭოთა წარმომადგენლობის თანამშრომელმა, ვინმე კრასნოპოლსკიმ, რომელიც იმავე დროს ყოფილა პოლონეთის ჯანდარმერიის აგენტი. მან მიაწოდა პოლონეთის მთავრობას ყალბი ინფორმაცია. პოლონეთმაც გამოიყენა და მოაწყო სასამართლო, მაგრამ სასამართლომ მახნო გაამართლა და პოლონეთს კოეზი ნაცარში ჩაუვარდა ამ შემთხვევაში.

ქრონიკა

საბჭოთა აარჩევნები თფილისში ჩინებულად ტარდება. ჩვენი ამხანაგებიდან წამოყენებულია 30 კანდიდატი.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ყრილობა მოწვეულია 30 დეკემბერს, ყრილობის წესრიგში იქნება: მუშათა და გლეხთა მთავრობის მოხსენება, ცალკე კომისარიატების მოხსენებანი, სახელმწიფო ბიუჯეტის დამტკიცება, საკავშირო ხელშეკრულების რატიფიკაცია და სხვ.

დღეს, 9 დეკემბერს, შესრულდა 30 წელი მას შემდეგ, რაც სახალხო თეატრი მოღვაწეობს. ამის აღსანიშნავად დღეს იმართება 30 წლის არსებობის იუბილე, გამოდის სპეციალური გაზეთიც.

სომხეთის გასაბჭოების სამი წლის თავის აღსანიშნავად თფილისში, რუსთაველის თეატრში მოეწყო მიტინგი-კონცერტი, რომელზედაც ილაპარაკეს ხანოიანმა, მიასნიკოვმა, სომხეთის მიწათ-მოქმედების კომისარ ერზიკიანმა და სხვებმა. იყო მისალმებები საქ. და აზერბეიჯანის კომპარტიის ცეკასაგან.

წარსულ კვირას მოეწყო პროლეტარულ სტუდენტთა დახმარების კვირეული,

რომელმაც ფრიად კარგი შედეგები გამოიღო. სხვადასხვა დაწესებულებებმა ღარიბ სტუდენტებისათვის დანიშნეს რანოდენიმე ათეული სტიპენდია. სტუდენტებისათვის წითელმა ჯვარმა და ქალაქის ჯანმრთელობის განყოფილებამ უზრუნველყო წამლებით უფასოდ სარგებლობა და სხვ.

სხვა და სხვა ამბები.

ხაქსონიის სოც.-დემოკრატიული პარტიის ყრილობამ სასტიკად გაილაშქრა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკის წინააღმდეგ. ყრილობამ გამოიტანა აგრეთვე რეზოლიუცია—პროტესტი კომპარტიის აკრძალვის გამო.

ტიურინგიის სოც.-დემოკრიულ პარტიის კონფერენციამ გაილაშქრა ბურჟუაზიულ პარტიებთან კოალიციის წინააღმდეგ, კონფერენცია მოითხოვს კომუნისტებთან თანამშრომლობას და სოციალისტური მთავრობის შექმნას.

გერმანიაში უკვე შესდგა ახალი მთავრობა ცენტრის წარმომადგენელ მარქსის მეთაურობით, ახალი მთავრობის პროგრამა ისეთივეა, როგორიც იყო შტრეზემანის მთავრობის პროგრამა.

გენერალ სექტმ გასცა განკარგულება კომუნისტების ცენტრალური კომიტეტის არა დეპუტატ წევრების და აგრეთვე ბერლინის კომიტეტის წევრთა დაპატიმრების შესახებ.

საფრანგეთის კომპარტიამ გამოაქვეყნა მოწოდება, რომელშიაც ხაზს უსვამს თავის სოლიდარობას ძმურ გერმანიის კომპარტიასთან და აცხადებს, რომ ის მზად არის ყოველგვარი დახმარება გაუწიოს გერმანიის კომპარტიას კაპიტალისტებთან ბრძოლაში.

ლევის ჯგუფის და სოც.-დემოკრატიული პარტიის ცეკას შორის უთანხმოება თანდათან ღრმავდება. ლევის გაზეთი აკრძალეს, მაგრამ ლევის განზრახული აქვს კვლავ განაახლოს მისი გამოცემა.

რურის ოლქში ხდება უმუშევართა დემონსტრაციები, რომელსაც პოლიციასთან ჰქონდა შეტაკებები. მრავლად არიან მოკლული და დაჭრილი მუშები.

მახნო სასამართლოში იყო მიცემული პოლონეთის მთავრობის მიერ და ბრალდებოდა გალიციაში აჯანყების მოწყობა. სასამართლომ მახნო გაამართლა.

მაკდონალდი ინგლისის მუშათა პარტიის ლიდერი „ბერლინელ ტაგებლატ"-ში დაბეჭდილ წერილში ხაზს უსვამს იმას რომ, იმ შემთხვევაში, თუ არჩევნებში გაიმარჯვებს ინგლისის მუშათა პარტია, ის დაუყონებლივ მოითხოვს ს. ს. რ. კავშირის იურიდიულ ცნობას.

შ. ეიდი საფრანგეთის ცნობილი ეკონომისტი დაბრუნდა რუსეთიდან საფრანგეთში. მან ინტერვიუ მისცა „ჰუმანიტეს" თანამშრომელს, მისი სიტყვით რუსეთში ბრწყინვალედ ვითარდება კოოპერაცია, კომუნისტები სასტიკად ანხორციელებენ პროლეტარიატის დიკტატურას და მხოლოდ მშრომელთა ინტერესებზე ზრუნავენ. ჩერვონის მანეთი უფრო მტკიცე ფულია, ვინემ ფრანკი. ბავშვებს ჩინებულათ ინახავენ და სხვ.

მოსკოვში დასრულდა მეცნიერთა ყრილობა. ყრილობა მეტად საინტერესო და შინაარსიანი იყო. მარის და ოლდენბურგის აზრით რუსეთში სამეცნიერო აზრი მეტად გაცხოველებულია და აუარებელი მასალებია დაგროვილი, რომელიც გამოქვეყნებას უცდის. სახელმწიფოს ფინანსიური-ეკონომიური მდგომარეობა საშვალებას არ იძლევა მეცნიერთა შრომების სავსებით გამოცემისაო.

საკავშირო ცაკმა დაადგინა მოიწვიოს საკავშირო რესპუბლიკების საბჭოთა მეორე ყრილობა 20 იანვრისათვის. დღის წესრიგი: საკავშირო ცაკ-ის და სახ. კომ. საბჭოს მოხსენება, ს. ს. რ. კავშირის კონსტიტუციის დამტკიცება, თანახმად პირველ ყრილობის დადგებილებისა, დებულება მრეწველობის ორგანიზაციის შესახებ, ს. ს. რ. კავშირის ბიუჯეტი, ცენტრალურ სასოფლო-სამეურნეო ბანკის დაარსება, ს. ს. რ. კავშირის ცაკ-ის შექმნა, საკავშირო საბჭოს არჩევნები, ეროვნებათა საბჭოს დამტკიცება.

რეინის სოც.-დემოკრატიულ პარტიის კონფერენციაზე ოპოზიციამ გაიმარჯვა. კონფერენციამ დაგმო პარტიის ცენტრალური კომიტეტის და რეიხსტაგის ფრაქციის კოალიციონური პოლიტიკა, საქსონია ტიურინგიის წინააღმდეგ გამოსვლა და დათმობითი პოლიტიკა ბავარიის მიმართ.

ინგლისში საარჩევნო კომპანია გაცხოველებულად სწარმოებს. კრებებზე გამოდიან ყველა პარტიების წარმომადგენლები. ხალხის მასსა ძალიან აღფრთოვანებით უსმენს მუშათა პარტიის ლიდერ მაკდონალდს. მხოლოდ 4 დღის განმავლობაში წარმოითქვა 40 ათასი სიტყვა. ჩერჩილს კინალამ სცემეს მიტინგზე, პოლიციამ ის გაიპარა. მიზეზი ამისა ისაა, რომ ჩერჩილი უარყოფითად უყურებს საბჭოთა კავშირთან ურთიერთობის აღდგენის საკითხს.

მუშათა პარტიის წრეებში განწყობილება მტკიცეა. მუშათა პარტია დარწმუნებულია, რომ არჩევნებს შედეგათ მოყვება მუშათა პარტიის წარმომადგენელთა რიცხვის გადიდება პარლამენტში.

ლონდონში არჩეულია კონსერვატორები—24, ლიბერალები—12, მუშათა პარტიის წარმომადგენლები—1, დამოუკიდებლებმა და კონსერვატორებმა დაკარგეს 5 ადგილი.

ფართო მასები კონსერვატორების წინააღმდეგ არიან განწყობილნი. ცნობილი კონსერვატორი ჩემბერლენი პირველათ მთელი თავისი პოლიტიკური კარიერის განმავლობაში იძულებული იყო დაეტოვებია საარჩევნო კრება იმის გამო, რომ აუდიტორიამ არ მოისურვა მისი მოსმენა. გარეშე საქმეთა მინისტრის მოგვარე კერზონს, რომელიც გამოცხადდა საარჩევნო კრებაზე შეიარაღებულ მცველთა თანხლებით, აუდიტორია აღშფოთებით შეხვდა.

ამხ. ფარნიევის მოხსენება.

ამხ. ფარნიევმა რუსეთიდან დაბრუნების შემდეგ თითქმის თბილისის ყველა უმთავრეს რაიონებში გააკეთა მოხსენება. **„საბჭოთა რუსეთში მიღებულ შთაბეჭდილებების შესახებ"**. მოხსენებიდან გამოირკვა ის დიდი გამარჯვება, რომელიც იგემა რუსეთის პროლეტარიატმა ძალა უფლების ხელში ჩაგდების შემდეგ, მიუხედავად იმისა, რომ ამ პროცესის დასაგვირგვინებლად მას დიდი ბრძოლა და მსხვერპლის გაღება დასჭირდა. მუშები დიდი გატაცებით ისმენდნენ მოხსენებას რუსეთის პროლეტარიატის დღევანდელ პოლიტიკურ და ეკონომიური მდომარეობის შესახებ. იყო მრავალი შეკითხვები თითქმის ყოველ მოხსენებაზე მუშებისაგან სხვა და სხვა რაიონში, რომლებსაც ქონდა მეტად სერიოზული ხასიათი, რაზედაც მომხსენებელმა სათანადო პასუხი გასცა.

არა ნაკლები სერიოზულობით და სიმპატიით შეხვდა ასეთივე მოხსენებას გლეხობა და დემოკრატიზმის კლასიური კუთხე გურია.

ამხ. ფარნიევის მოხსენებას აქ უმთავრესად ესწრებოდა თითქმის ყველა რაიონებში სოფლის გლეხობა, რომლებიც დაინტერესებულნი იყვნენ, როგორც საქ. სოც. დემოკ. მუშათა პარტიის ყრილობის დადგენილებების გაცნობაში, ისე საბჭოთა რუსეთის პოლიტიკური და ეკონომიური მდგომარეობის გაცნობაში და დღევანდელი მომენტის გარკვევაში.

ამხ. მომხსენებელი თავის მოხსენებაში უმთავრესად შეჩერდა დღევანდელი რუსეთის გლეხობის ეკონომიურ და პოლიტიკურ მდგომარეობაზე, ილაპარაკა იმ რეორგანიზაციაზე, რომელიც მე-12-ე ყრილობის დადგენილების თანახმად უნდა მოხდეს მუშათა და გლეხთა ინსპექციაში.

მან აღნიშნა ის როლი, რომელიც ითამაშა რუსეთის გლეხობამ ოქტომბრის გადატრიალების პერიოდში და ამასთანავე იმ დანიშნულებაზე, რომელსაც ასრულებს დღევანდელი რუსეთის გლეხობა საბჭოთა აღმშენებლობაში.

მომხსენებელმა ილაპარაკა ს. ს. დ. მუშათა პარტიის თვით ლიკვიდაციის შესახებ, ამასთანავე იმ მიზეზების შესახებ, რომელიც საფუძვლად დაედვა პარტიის თვითლიკვიდაციას.

რუსეთში პოლიტიკურ პარტიათა ლიკვიდაციის შესახებ და რ. ს. დ. მ. პ. დღევანდელი მდგომარეობის შესახებ მომხსენებელმა სთქვა, რომ რუსეთში ლიკვიდაციის პროცესმა, რომელიც დაიწყო ესერების პროცესით თავის ლოლიკური დასკვნა რ. ს. დ. მ. პარტიის ლიკვიდაციაში პოვა.

რუსეთის კომუნისტური პარტიის გამარჯვებამ რუსეთის სინამდვილეში თვით ლიკვიდაციამდე მიიყვანა ყველა პოლიტიკური პარტიები.

მომხსენებელი შეეხო რ. ს. დ. მ. პარტიის წევრების არალეგალურად მომუშავეთა ძირითად პრინციპიალურ პოზიციას და აღნიშნა, რომ დღეს თითქმის მთელი მუშათა ორგანიზაციები განიცდიან დიდ გავლენას კომუნისტური პარტიისა და ის გავლენა, რომლითაც რუსეთში სარგებლობდა რ. კ. ს. დ. მ. პარტია ესერებთან ერთად დღეს სავსებით ნიადაგ გამოცლილია.

მომხსენებელმა ხაზი გაუსვა იმ აღფრთოვანებას, რომელიც გამოუწვევია რუსეთის უპარტიო მუშებში და აგრეთვე ყოფილ მენშევიკებშიაც საქარ. ს. დ. მუშათა პარტიის 25 ავგისტოს ყრილობას.

სრულიად საკავშირო ყრილობის სამზადისის შესახებ მომხსენებელმა მაგალითისათვის მოიყვანა ის სალიკვიდაციო კომპანიები, რომელიც ტარდება უკრაინაში და რუსეთის სხვა და სხვა ქალაქებში, რომლის მოსაგვარებლად სრულიად რუსეთის მაშტაბით შექმნილია მოსკოვში საკავშირო ყრილობის მომწვეევი საინიციატივო ბიურო.

მომხსენებელმა ხაზი გაუსვა ევროპის თანამედროვე ძალთა განწყობილებას, მან აღნიშნა ის როლი, რომელსაც ასრულებს გერმანიის რევოლიუციის პროცესში სოციალ-დემოკრატია და აგრეთვე კომუნისტური პარტიის გაძლიერება.

დაბოლოს მომხსენებელი შეჩერდა ს. ს. დ. მ. პარტიის არალეგალური ცეკის მუშაობაზე და აღნიშნა ის ყოვლად გაუმართლებელი საშვალება, რომელიც ბოიკოტში იხატება ყოფილ მენშევიკების მიმართ.

იყო უამრავი შეკითხვები საზღვარგარეთელ ემიგრანტების შესახებ, მათი მდგომარეობისა და პოლიტიკური პლატფორმის გამოსარკვევად, რომელზედაც მომხსენებელმა სათანადოთ უპასუხა.

ამ ფარნიევის მოხსენებით გურიის გლეხობა დიდი კმაყოფილი დარჩა, მოხსენებას მრავალი ხალხი დაესწრო და შემდეგ მოთხოვნილების თანახმად ის დასავლეთ გურიიდან აღმოსავლეთ გურიაში გაემგზავრა. ამ ჟამად ის თავის მოხსენებებს აკეთებს რესპუბლიკის სხვა და სხვა ადგილებზე.

შ. ს—ძე.

გერმანიის პროფკავშირთა გახრწნა.

ოდესღაც ძლიერი გერმანიის პროფესიონალური მოძრაობა დღეს სრულ გახრწნას განიცდის. ეს უკვე ფაქტია. ფაქტს კი თვალებში უნდა შეხედვა. იმ ცნობების მიხედვით, რომელიც გამოქვეყნდა სექტემბერში, აშკარა ხდება, რომ წევრთა საერთო რიცხვი ნახევარი მილიონით შემცირებულა. მაგრამ პროფკავშირებს კატასტროფიული მდგომარეობა უმთავრესად სექტემბერ-ოქტომბერში ჰქონდათ.

ყველაზე უფრო ძლიერ მელითონთა კავშირს უსახსრობისა გამო ვერ მოუხერხებია ყრილობის მოწვევა. ეს მეორეჯერაა, რომ ყრილობა განუსაზღვრელ დროისთვის გადაიდვა: მელითონთა ორგანიზაციას, რომელიც შესდგებოდა ნახევარ მილიონ წევრისაგან მოაკლდა ბერლინის ორგანიზაციას რამოდენიმე ათასი წევრი. ხემნიცში მასსიურად გარბიან კავშირებიდან; ამ ცოტა ხნის წინეთ ადგილი ჰქონდა ერთ სოც.-დემოკრატიულ კრებაზე შემდეგ მოვლენას: კრების უმრავლესობამ დაადგინა დასტოვოს ს.-დემოკრატიული პარტია და გადავიდეს კომპარტიის რიგებში, მძიმეა მდგომარეობა მემაღაროებისაც. ტანსამოსის დამამზადებელი კავშირი არსებობს მხოლოდ საზღვარგარეთელი მოძმე ორგანიზაციების დახმარებით. იხურება პროფესიონალური გაზეთები, ან მცირდება გამომცემლობა. მოსამსახურეებს პროფკავშირების ორგანიზაციებიდან ითხოვენ.

არავის არ უნდა გადაიხადოს საწევრო გადასახადი. ნიურენბერგში შენიშნულია, რომ 90 პროცენტს არ აქვს, ანუ არ უნდა საწევრო გადასახადის გადახდა. შტეტინში დიდი მოძრაობაა კავშირებიდან გასვლის მიმართულებით. უკანასკნელ ხანებში გამოქვეყნდა პროფკავშირების მოწოდება კავშირებისადმი, რომ ებრძოლონ ამ მოვლენას. „ფორვერსტის“ განმეორებული მოწოდება მოწმობს, რომ მდგომარეობა მეტად სახიფათო და სერიოზულია. მიზეზათ ასეთი მდგომარეობისა ასახელებენ ორ ფაქტორს: ერთის მხრივ გერმანელი მუშის უმაგალითო გაღატაკებას უკანასკნელ თვეებში, მეორეს მხრივ არის უკმაყოფელება, აღშფოთება და გაბოროტება თვით კავშირების მიმართ, რომ მათ ვერ შესძლეს თავიდან აეცილებინათ გერმანელი მუშის ასეთი გაღატაკება. უკანასკნელ ფაქტორს უფრო დიდ მნიშვნელობას აძლევენ. თუმცა აშკარად უნდა ითქვას, რომ ამ მოვლენის ძირითადი მიზეზია კაპიტალიზმის გახრწნა გერმანიაში.

გერმანიის მუშები მთელ რიგ ათასობით რეზოლიუციებში, დადგენილებებში და დელეგაციების საშუალებით გამოსთქვამენ თავიანთ აღშფოთებას და უკმაყოფილებას ზედა ფენების პოლიტიკის გამო და მოითხოვენ ყოველგვარი კავშირის გაწყვეტას რეფორმიზმთან, მოითხოვენ ბრძოლას და არა კუდის ქნევას ბურჟუაზიის წინაშე. მაგრამ ხელმძღვანელები აშოშმინებენ მუშებს სხვადასხვა დაპირებებით. ისინი ურჩევენ მუშებს თავი შეიკავონ საყოველთაო გაფიცვისაგან. რასაკვირველია, ასეთი ლათაიები მუშებს არ აკმაყოფილებს და ისინი სულ უფრო და უფრო დგებიან აქტიური ბრძოლის წარმოების ნიადაგზე.

ასეთ საშინელ მდგომარეობაშია დღეს გერმანიის ოდესღაც უძლიერესი პროფესიონალური მოძრაობა. ცხადია, რომ ასეთი მდგომარეობა დიდხანს ვერ გასტანს და მუშათა აღშფოთება და უკმაყოფილება თავის გამოსავალს იპოვის.

X.

ხმა პროვინციიდან

ბორჯომ-ახალციხის შარა გზაზე სლესის ციხის მიდამოებში 26 ნოემბერს ჰქონდა ადგილი მეტად ამაღელვებელ ბანდიტურ შემთხვევას: ცნობილ ბანდიტ კასრაძის მეთაურობით მაწანწალა ნაძირალებმა მოახდინეს საფოსტო ავტომობილზე თავდასხმა. ფოსტასთან ერთად გაცარცულ-ნაწამები იქმნენ კერძო მგზავრებიც. სრულიად გაშიშვლებული, უტანისამოსო მოქალაქენი დასტოვეს ტყეში ბედის ანაბარა. ბორჯომის და ახალციხის ადმინისტრატიულ ცენტრებმა მიიღეს ენერგიული ზომები ბოროტ-მომქმედთა შესაპყრობად. 28 ნოემბერს ახალციხის მაზრის სოფელ ზველში მოულოდნელად წააწყდა გლეხის ოჯახში მყოფ ბანდიტებს ადმინისტრაცია და ბოლო მოუღო მათ თავხედობას. გაცხარებულ სროლაში ექვსი მათგანი განიგმირა წითელი ტყვეთ და ერთიც დაიჭრა. დაჭრილმა ბევრი საყურადღებო ცნობები გამოამჟღავნა და მოულოდნელ რიცხვში იცნო მეთაური კასრაძე.

ეს ის კასრაძეა, რომელიც ქართლის ულარიბეს გლეხობის სახლ-კარს აწიოკებდა, ხალხის რისხვამ განდევნა ის ბორჯომ-ახალციხის მიუვალ ტყეებისაკენ.

მაგრამ ხალხის სამართალს სად გაექცეოდა? და აკი დაატყდა კიდეც ხალხი მოულოდნელ რისხვად და შეუბრალებელ ხელით განგმირა. მოტყუებული გლეხები, რომლებიც დღეს დიდ გამონაკლის შეადგენენ, მწარე სინანულს გამოსთქვამენ, რომ მათ ნებით თუ უნებლიეთ დაუთმეს თავიანთ ჭერ-ქვეშ თავსაფარი მუშათა კლასის ჯალათებს.

დეე გაიგონ ხალხის ყველა ჯურის ნაძირალებმა, რომ მას შემდეგ, რაც მოხდა მასიური პარტიის თვით ლიკვიდაცია საუკეთესო ძალების აქტიური ხელმძღვანელობით, აღარ ექნებათ არც ერთ გლეხის და მუშის ოჯახში თავსაფარი ხალხის მტრებს. ხალხი თვით აღმოფხვრის ძირშივე მათ და ამის ცოცხალი ფაქტი „პოლიტ.“ ბანდიტ კასრაძის „შაიკის“ განადგურებაა. საბჭოთა აღმშენებლობის ფრონტის წინააღმდეგ მომქმედი შავი-ძალების ნამსხვრევებიც ხალხის შეუბრალებელ მახვილს ვერსად გაექცევა.

სტუმარი.

წერილები რედაქ. მიმართ

პატივცემულო ამხანაგებო! გთხოვთ ამ ჩემს გულწრფელ წერილს ადგილი დაუთმოთ „სიმართლის ხმაში“.

1903 წლიდან ვმუშაობდი რ. ს. დ. მ. პარტიაში. მონაწილეობას ვიღებდი მთელ არალეგალურ მუშაობაში შავბნელ რეაქციის დროს განუწყვეტლივ. 1920 წლამდის ვმუშაობდი პარტიაში და ვასრულებდი ყოველივე დავალებულ საქმეს იმდენათ, რამდენათ ჩემი ცოდნა და უნარი მაძლევდა საშვალებას. თუ ვინმეს ქონდა ნდობა კონსპირატიული საქმისა, ერთი მათგანი ვიყავი მეც. მქონდა მონდობილი არა ლეგალური სტამბის შენახვა და მოვლა, იარაღების და მთელი საოლქო კომიტეტის არქივის, ანგარიშების შენახვა, ვმუშაობდი ფოთის და თფილისის ორგანიზაციებში; ჩემი ახალგაზრდობა შევალიე პოლიტიკურ ბრძოლას მუშათა კლასის განთავისუფლებისათვის. 1921 წლიდან მე მოვწყვდი ყოველგვარ პარტიულ მუშაობას და საშვალება მქონდა გამეთვალისწინებია და ამეწონ-დამეწონა ჩვენი პარტიის ყოველივე ნამუშევარი მოქმედება, და შემედარებია დემოკრატიული ბურჟუაზიული წესწყობილება პროლეტარულ საბჭოთა დიქტატურასთან. დავრწმუნდი, რომ დემოკრატიული გზა იყო და არის ბურჟუაზიული საქმის კეთება პროლეტარიატის საშუალებით, რაიც წარმოადგენს უტყუარ ღალატს მუშათა კლასის წინაშე მეორე ინტერნაციონალის მხრივ, მუშათა კლასს მოუწოდებენ შეერთებისაკენ სოციალისტური წესწყობილების დამყა-

რებისაკენ და აკეთებენ ბურჟუაზიის საქმეს; ამას კი მარქსიზმი არ გვასწავლიდა. კომუნისტური პარტიის მთელი მუშაობა გამოიხატება იმით, რომ საქმით გაატარონ ცხოვრებაში ყოველივე ის, რასაც გვიკარნახებს მარქსიზმი და მუშათა ყოველდღიური კლასიური ინტერესები. ამიტომ ვაცხადებ, რომ სავსებით შეგნებულათ ვტოვებ წარსულში რევოლიუციონურს და აწმყოში კი ფაშისტურ მენშევიკურ ორგანიზაციას. ვდგები რა პროლეტარიატის დიკტატურის პლატფორმაზე, სავსებით და მთლიანათ უერთებ ჩემს ხმას ს. დ. მ. პარტიის (ყოფ. მენშევიკების) ყრილობას და მთელი ჩემის მოკმედებით ხელს შეუწყობ მუშურ გლეხურ ხელის უფლებას მესამე კომუნისტური ინტერნაციონალური წითელი დროშის ქვეშ.

გაუმარჯოს ქალთა პროლეტარულ ორგანიზაციას!

გაუმარჯოს კლასთა ბრძოლას მესამე კომუნისტური ინტერნაციონალური წითელი დროშის ქვეშ!!

გაუმარჯოს კომუნიზმს!!!

ყოფილი ქალთა ს. დ. მ. ორგანიზაციის ცენტრალურ ბიუროს წევრი

მ. ლუკაშევიჩი.

მე ვირიცხებოდი ს. დ. მ. პ. წევრად 1905 წლიდან—საქართველოში მენშევიკების ბატონობის დროს ვმუშაობდი პროფკავშირებში: მებაღეების და მუნიციპალურ მუშა მოსამსახურეების კავშირებში და მეპირა საპასუხის მგებლო ადგილები. დღეს, შევადარე თუ არა ახალი პროფმოძრაობა ძველთან, აგრეთვე კომპარტიის მუშაობა მენშევიკების მუშაობასთან, მე მივედი იმ დასკვნამდე, რომ, როგორც საბჭოთა ხელისუფლება, ისე პროფმოძრაობა კომპარტიის მეთაურობით დღეს, აკეთებს არა ბურჟუა-კაპიტალისტების საქმეს, როგორც ამას მენშევიკები და მაშინდელი კავშირები ჩადიოდა, არამედ სდგას კლასიურ ნიადაგზე და იცავს მუშების ნამდვილ ინტერესებს. ამიტომ მე ვანებებ თავს ს. დ. მ. პ. მენშევიკებს და მთელი ჩემი ძალღონით და ენერგიით დავეხმარები იმ დადგენილებების ცხოვრებაში გატარებას, რომელიც მიიღო ყოფილ მენშევიკების ყრილობამ 30 აგვისტოში.

ეხტატე მათეხძე მაჩაიძე.

გთხოვთ თქვენი პატივისცემული ჟურნალის „სიმართლის ხმის“ ფურცლებზე მოათავსოთ შემდეგი: 1917 წლიდან 1921 წლამდის მე ვმუშაობდი საქართველოს სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიაში და მის უბრალო დამატებაახალგაზრდა მარქსისტთა ორგანიზაციაში.

მენშევიკების პრაქტიკულმა პოლიტიკამ მათი „მოღვაწეობის“ პროცესში თანდათანობით ნათელყო ყველასათვის თვალსაჩინოთ სრული იდეური სიკოტრე და მორალური გახრწნა საქართველოს სოციალ-დემოკრატიისა. შეთანხმებლობის პოლიტიკის წყალობით რუსეთის ოქტომბერის რევოლიუციის ძლევამოსილ აზვირთებული ტალღების მიერ გარიყული საქ. სოციალ-დემოკრატია სამარცხვინოთ და საბედისწეროთ ჩაეფლო ოპორტიუნიზმისა და მეშჩანობის ჭაობში და, აღიარა რა უმჯობესათ თავისი ლიდერის პირით „დასავლეთის იმპერიალიზმი, ვიდრე აღმოსავლეთის ფანატიზმი“, საქართველოს მშრომელი ხალხის ბედიღბალი ევროპის იმპერიალიზმის გავლენის ქვეშ მოაქცია. ასეთი გადახრა, ან უკეთ რომ ვსთქვათ, სრულიად მივიწყება მარქსისტული სოციალიზმის გზისა ჩემთვის მიუღებელი დარჩა რევოლიუციონური მარქსიზმისა და მუშათა კლასის ინტერესების თვალსაზრისით. საბჭოთა აღმშენებლობას, ვადარებდი ორ ტაქტიკას ერთი მეორეს და ხანგრძლივმა დაკვიბამ და თვით კრიტიკამ და საერთაშორისო მომენტის გათვალისწინებამ მიმიყვანა იმ დასკვნამდის, განსაკუთრებით მას შემდეგ რა 2 ნახ. ინტერნაციონალი მ-II-ე ინტერნაციონალს შეუერთდა და მენშევიკურმა ტაქტიკამ და „დემოკრატიზმა“ გერმანიის პროლეტარიატი დღევანდელ მდგომარეობამდის მიიყვანა,—რომ მსოფლიო ეკონომიური კრიზისიდან თავის ბაღწევისათვის ეკონომიური რენესანსისათვის და აგრეთვე მუშათა კლასის საბოლოო განთავისუფლებისათვის საჭიროა—და ერთად ერთი საშუალებაა დღეს-დღეობით—მხოლოდ სოციალური რევოლიუციისათვის ბრძოლა და პროლეტარული დიქტატურის განმტკიცება ბურჟუაზიული სახელმწიფოს ნანგრევებზე. ამისათვის კი საჭიროა მთლიანი მუშათა ფრონტის შექმნა, პროლეტარიატის დაქსაქსულ ორგანიზაციების და ძალთა ერთ ცენტრში მობილიზაცია—სახელდობრ მე III კომუნისტური ინტერნაციონალის დროშის ქვეშ, რომელიც ერთად ერთი რევოლიუციონური ორგანიზაციაა მსოფლიო პროლეტარიატისა, რადგან სხვა ყველა სოციალისტური პარტიები თავისი კოალიციონური პოლიტიკით და სხვა პრაქტიკული საქმიანობით მოუწოდებენ პროლეტარიატს შეთანხმებისაკენ და „ნაადრევ“ რევოლიუციონურ ბრძოლაზე ხელის აღებისაკენ. ასეთ პირობებში, როდესაც ერთის მხრივ დარაზმულია რევოლიუც. პროლეტარიატი, ხოლო მეორეს მხრივ უკანასკნელ შეტევაზე გადმოდის ფაშისტური ბურჟუაზია,და დასმულია დილემმა: **იმპერიალიზმი თუ სოციალიზმი, რეაქცია თუ რევოლიუცია, შეთანხმებლობა, თუ სამოქალაქო ომი. ყოველი მუშის, ყოველი სოციალისტის** (თუ ის ნამდვილად სოციალისტია) **ვალია უყოყმანოთ, დაუყონებლივ დაადგეს მებრძოლი პროლეტარიატის რიგში, რადგან გადამწყვეტ ბრძოლაში ერთი წუთის დაგვიანებაც კი სიკვდილს უდრის.**

სრული შეგნებით უარვყოფ მე-II ინტერნაციონალს, ვიზიარებ სრულებით საქ. ყოფილ მენშევიკთა და ყოფილ ახალგაზრდა მარქსისტთა სალიკვიდაციო ყრილობების ყველა დადგენილებებს ვუთანაუგრძნობ კომუნისტურ პარტიას და ვდგები მისი სესვეური III კომუნისტურ ინტერნაციონალურ დროშის ქვეშ. რომელიც ერთად-ერთი ხელმძღვანელია საერთაშორისო პროლეტარიატის ვაერთიანებული ფრონტისა ბურჟუაზიის წინააღმდეგ.

ყოველ მუშას და ყოველ ინტელიგენტს, რომელსაც პროლეტარიატის ხამსახური და სოციალიზმ-კომუნიზმისათვის ბრძოლა დაუსახავს თავისი საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოღვაწეობის ალფათ და ომეგათ,—მოვუწოდებ თავი მიანებოს მერყეობას, ყოყმანს, ხან მარცხნივ ხან მარჯვნივ ქანაობას, და დაუგვიანებლად შეუერთოს თავისი ძალღონე მე III კომინტერნს.

ამხანაგური სალამით **ამბერკი ქანთარია.**

გთხოვთ უახლოეს ნომერში „სიმართლის ხმა“-ში დამიბეჭდოთ შემდეგი წერილი: რადგანაც ზოგიერთი ჩემი ამხანაგები არაა დარწმუნებული მასში, რომ მე გავხდი კომპარტიის თანამგრძნობი, ამისათვის ვაცხადებ შემდეგს: მე ვუერთდები ყველა დადგენილებებს სრულიად საქართველოს ყოფილ მენშევიკების ყრილობისა, დღეიდან მზად ვარ ხელი შეუწყო საბჭოთა ხელისუფლების განმტკიცებას.

მიშა ცინცაძე.

ვინაიდან მე მივედი იმ დასკვნამდე, რომ საბჭოთა ხელისუფლება არის ერთად ერთი წესწყობილება, რომელიც იცავს მუშათა და გლეხთა ინტერესებს, ამიტომ მე უერთდები სრულიად საქარ. მენშევიკების ყრილობას და ვიღებ ყველა მის დადგენილებებს და ყოველივე ჩემის ღონისძიებით ხელს შეუწყობ მის ცხოვრებაში გატარებას.

მენშ. პარტიის წევრი 1905 წლიდან

ა. მეგრელიძე.

სარედაქციო კოლეგია:
ა. ფარნიევი.
ა. რუხაძე.
კ. თოფაძე.
კ. შენგელია.
გ. ვარდოიანი.

ს. ს. მ. უ. ს. პოლ. განყოფ. 1-ლი სტამბა. ნებადართულია ლიტ. და გამ. მთავ. მართ. მიერ № 892 ტირაჟი 1000